ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## გიზო ნიშნიანიძე გარდაიცვალა

გვ.7



ოთხშაბათი, 21 სექტემბერი, 2011 №224 (5604) ფასი: 30 თეთრი

# სააკაშვილს ოპოზიცია ჯიბეში უზის

პოლიტიკური ოპოზიცია საქართველოში, ვეჭვობ, ოდესმე გაერთიანდეს. ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ეს გამორიცხულია.



გვ.5

## გუბაზ სანიკიძე: „ექვსიანი არ დაიშლება!“





გვ.2

„ქართველთა მარში“ სამების ტაძარში დასრულდება

## დის განზრახ მკვლელობისათვის 51 წლის მერაბ ციბაძე დააკავეს

გვ.4



## თინა ხიდაშელი მერიას უპირისპირდება

გვ.6

## გურამ ჩახვაძე მეზღვაურების უფლებების დაცვას ითხოვს





აფხაზი უხუცესები კი რუსეთის იმედად არიან

გვ.3

## კოდორში რუსებმა სამხედრო ბაზის მშენებლობა დაიწყეს

## რუსეთი ცხინვალის მიერთებისგან თავს იკავებს

გვ.3

მედვედევმა სამხრეთ ოსეთს „რესპუბლიკის დღე“ მიულოცა



## როგორ აწამებენ პატიმარ ქალებს

გვ.4

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**4** გელა ნიკოლაიშვილი: ხანგოშვილის გათავისუფლებამ დაადასტურა ეჭვები, რომ ის უდანაშაულო იყო

**6** „სამშობლოს“ შენობაში „სითი ლოფტი“ 9 მლნ აშშ დოლარს გადაიხდის

**4** ევროსასამართლომ „იუკოსის“ საქმეზე რუსეთის ხელისუფლების ბრალი აღიარა

**6** რუსეთში მცხოვრებმა ქართველებმა ლოტოს გათამაშებაში 4 მილიონი რუბლი მოიგეს

## ევროსასამართლო საქართველოს საჩივრის დასაშვებობის საკითხზე იმსჯელებს

22 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიმართება ზეპირი მოსმენა საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი მეორე სახელმწიფოთაშორისი საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით.

როგორც „მედიანიუსს“ უფლებათა დამცველი ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტიდან“ აცნობეს, ქართული მხარის საჩივარი ეხება რუსეთ-საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და შემდგომში ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციისას, რუსი სამხედრო მოსამსახურეების მიერ რუსეთის ფედერაციის კონტროლს ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროკონვენციის რიგი მუხლის, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის ძირითადი ნორმების სავარაუდო დარღვევებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, საჩივარი ეხება ევროკონვენციის შემდეგი მუხლების სავარაუდო დარღვევას: სიცოცხლის უფლება (2-ე მუხლი), წამების აკრძალვა (3-ე მუხლი), თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (5-ე მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა (8-ე მუხლი), ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის უფლება (13-ე მუხლი), ასევე, პირველი დამატებითი ოქმის მეორე მუხლი - განათლების უფლება და მეოთხე დამატებითი ოქმის მეორე მუხლი - გადაადგილების თავისუფლება.

საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოში შევიდა 2008 წლის 11 აგვისტოს და თან ერთვოდა ევროსასამართლოს წესების 39-ე წესის შესაბამისად შედგენილი მოთხოვნა განსაკუთრებული ზომების მიღების თაობაზე.

2008 წლის 12 აგვისტოს სასამართლოს პრეზიდენტმა გადაწყვიტა გამოეყენებინა სასამართლო წესების 39-ე წესი, რაც გულისხმობდა ორივე მხარისთვის მოწოდებას — შეესრულებინათ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან დაკავშირებული ვალდებულებები, კერძოდ, დაეცვათ ადამიანთა სიცოცხლე და წამების აკრძალვა.

საქართველოს მთავრობამ ევროსასამართლოს საჩივარი სრული ფორმით წარუდგინა 2009 წლის 6 თებერვალს, ხოლო მოგვიანებით 2010 მარტსა და 2011 აპრილს დამატებითი განმარტება და დოკუმენტაცია.

ამრიგად, 22 სექტემბერს ევროსასამართლო განიხილავს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი ევროკონვენციით დადგენილ მოთხოვნას საჩივრის დასაშვებობის შესახებ.

როგორც ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტში“ აცხადებენ, ევროსასამართლოს პრაქტიკის მცოდნე იურისტები ვარაუდობენ, რომ საქართველოს მხარეს არ ჰქონდა და არ შეიძლება ჰქონოდა სათანადოდ მომზადებული საჩივარი 2008 წლის ომის დღეებში, ხოლო მოგვიანებით მათ არაფერი გაუკეთებიათ ომის დანაშაულების გამოსაძიებლად და არ მიუმართავთ რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო ორგანოებისთვის. ამგვარი ქმედების გარეშე, იურისტებს მიაჩნიათ, რომ ეს საქმეც ისევეა განწირული წასაგებად, როგორც ეს უკვე მოხდა ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში. იურისტების აზრით, მეორედ ასეთი საერთაშორისო სასამართლო პროცესის წაგება თავისი შედეგებით არ ჩამოუვარდება ოკუპაციის უმძიმეს შედეგებს.

მედიანიუსი

# გუბაზ სანიკიძე: „ექვსიანი არ დაიშლება!“

ნათია ხურცილავა

**გუბაზ სანიკი ემ 2§ სექტემბერს „ქართველთა მარშის“ შეკრებისა და მო რაობის მარშრუტი გამოაცხადა.**



„ქართველთა მარში" სამების ტაძარში დასრულდება

ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, 27 სექტემბერს ქართველები ვარდების მოედანზე ოთხი საათისთვის შეიკრიბებიან და რუსთაველის პროსპექტზე მსვლელობით სამების საკათედრო ტაძარში გადაინაცვლებენ, სადაც ქართველ გმირთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისის რიტუალში მიიღებენ მონაწილეობას.

გარდა იმისა, რომ ცნობილი გახდა „ქართველთა მარშის“ მარშრუტის შესახებ, ასევე ცნობილი გახდა მათი ვინაობა, ვინც უერთდება ეროვნული ფორუმის ამ იდეას. ასეთი მზადყოფნა ჯერჯერობით მხოლოდ



სახალხო კრებამ გამოთქვა.

რაც შეეხება ეროვნული ფორუმის პარტნიორებს, „ექვსიანს“, ისინი ასეთ მზადყოფნას არ ადასტურებენ.

როგორც ჩანს, წყენა იმდენად დიდია, რომ „ექვსიანი“ არ ერიდება უამრავ მითქმა-მოთქმას, რომელიც ამ ფაქტის ირგვლივ აგორდა.

გუბაზ სანიკიძემ გუშინ განაცხადა, რომ ეს იდეა მათია, მაგრამ ეს არ არის მათი პარტიული აქტივობა.

ეროვნულ ფორუმში აცხადებენ, რომ თუ ეს მათი პარტიული აქტიურობა იქნებოდა, მაშინ სახელწოდება „ქართული მარში“ კი არ იქნებოდა, არამედ — „ფორუმის მარში“.

გუშინ სანიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მათი პრეტენზია უფრო დიდია, ვიდრე პარტიული აქტივის მობილიზება და პოლიტიკური სეზონის გახსნილად გამოცხადებაა.

რა არის „ქართული მარშის“ მთავარი მიზანი? ამ კითხვაზე სანიკიძე პასუხობს, რომ ეს ეროვნული კატასტროფის წინააღმდეგ გაბრაზებაა.

ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, რომ საქართველო არ შეეგუება ჩვენი ქვეყნის სინგაპურიზაციას.

სანიკიძე აცხადებს, რომ სახელისუფლებო პროგრამა სინგაპურიზაციის შესახებ მიუღებელია.

— ამ აქციის მიზანია დემონსტრაცია ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, რომ ჩვენ არ ვეგუებით იმ მდგომარეობას, რომელშიც დღეს ჩვენი სამშობლოა, არც ქვეყნის გარეთ, არც ქვეყნის შიგნით, რომ სოხუმიც და ცხინვალიც აუცილებლად იქნება საქართველოს შემადგენლობაში, რომ ქართველი ხალხი არ შეეგუება სახელისუფლებო პროგრამას, რასაც სინგაპურიზაციის პროგრამას უწოდებენ. დაფარული არ არის არაფერი, თავად ხელისუფლება აცხადებს ყველაფერს. ეს აქცია იქნება სინგაპურიზაციის საწინააღმდეგო მთელი თავისი შინაარსით, — განაცხადა სანიკიძემ.

გუბაზ სანიკიძის განცხადებით, „ქართველთა მარშის“ არც ერთი წევრი 27 სექტემბერს თავს სტუმრად არ იგრძნობს, პირიქით, ყველა ადამიანი, რომელიც რესპუბლიკის მოედანზე „ქართველთა მარშს“ შეუერთდება, მასპინძელი იქნება.

— ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმაა, ეს ხომ არ არის ფორუმის პარტიული აქცია. ჩვენი სურვილით ეს აქცია მხოლოდ ჩვენი პარტიული რომ ყოფილიყო, მაშინ ამას „ფორუმის მარშს“ დავარქმევდით. არავითარ შემთხვევაში, ასე არ არის. ამ აქციას ჰქვია „ქართველთა მარში“. მინდა, ყველას ვუთხრა, რომ ვინც 27 სექტემბერს რესპუბლიკის მოედანზე მოვა და ვინც ჩვენთან ერთად გაივლის ამ მარშს, არავინ იქნება სტუმარი, ყველა მასპინძელი იქნება, — განაცხადა სანიკიძემ.

27 სექტემბერს დაწყებული „ქართველთა მარში“ იმავე დღეს შეწყდება. ერთდღიან აქციაზე, რომელიც დაახლოებით ორ საათს გაგრძელდება, არც ერთი პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური განცხადება არ იქნება გაკეთებული. არ იქნება ტრიბუნა და სხვა ატრიბუტიკა, რომლებიც უხვად იყო ოპოზიციის აქციების დროს.

— აქცია დაიწყება და იმავე დღეს სამების ტაძარში დასრულდება. ეს არის აქცია, რომელმაც ქართველი ერის ძალიან სერიოზული განაცხადი უნდა გააკეთოს, რომ ჩვენ, როგორც ერი, განვაგრძობთ არსებობას, ჩვენ ვართ ერი, რომელიც აღნიშნავს თავის ეროვნულ კატასტროფას, მაგრამ ორიენტირებულია მომავალზე, — განაცხადა ეროვნული ფორუმის ერთ-ერთმა ლიდერმა.

ეროვნულ ფორუმში „ექვსიანის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზეც გააკეთეს კომენტარი.

— არავითარ შემთხვევაში „ექვსიანში“ არ არის განხეთქილება. უახლოეს პერიოდში „ექვსიანი“ შეიკრიბება თავის ჩვეულ ფორმატში და ის თემა, რომელიც საერთო გვაქვს — საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, ზოგადად დემოკრატიის დამყარება ქვეყანაში — ამ საკითხებზე გვექნება საუბარი. საუბრები „ექვსიანის“ დაშლის შესახებ ჭორებია, ტყუილი და მეტი არაფერი, — ამბობს სანიკიძე.

გუშინ სანიკიძე შეეცადა აეხსნა, თუ რა დანიშნულება აქვს ოპოზიციურ „ექვსიანს“ და ისიც განმარტა, რომ ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიან პარტიული საქმიანობის წარმოებაში.

— ძალიან მარტივად დგას საკითხი. „ექვსიანში“ შემავალმა პარტიებმა, გარდა საარჩევნო გარემოსა და იმ საკითხებისა, რაშიც ერთნი ვართ და არავითარი ბზარი არ არის, ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს პარტიული, პოლიტიკური საქმიანობა შევუზღუდოთ, — ამბობს სანიკიძე.

ეროვნულ ფორუმს, როგორც ცნობილია, არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან აღნიშნულ საკითხზე არანაირი კონსულტაცია არ გაუმართავს.

მიუხედავად ამისა, ეროვნული ფორუმი ოპტიმისტურად არის განწყობილი და მოლოდინიც დიდია.

— საკმაოდ ოპტიმისტურად ვართ განწყობილი ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე მინდა განვაცხადო, რომ არავითარი განცხადება არ გაკეთდება და არავითარი დოკუმენტი არ იქნება მიღებული, — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

ასევე ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ მარშში არ იქნება არც ერთი პოლიტიკური პარტიის, მათ შორის, ეროვნული ფორუმის პარტიული დროშა.

## მალაშხიასთვის დეოკუპაციისთვის გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მისაღებია

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხიასთვის ქვეყნის დეოკუპაციისთვის გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მისაღებია, - ამის შესახებ მალაშხიამ „ეროვნული ფორუმის“ მიერ დაგეგმილი მარშის კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, ნებისმიერი მარში, რომელიც მიეძღვნება ხსოვნას, დეოკუპაციას ემსახურება და საუბარი იქნება ქვეყნის მთლიანობის აღდგენის პერსპექტიულ გეგმებზე, ხელისუფლებისთვის მისაღებია და მზად არის მოისმინოს. მალაშხიამ დასძინა, რომ მიუღებელი მხოლოდ ღონისძიებებში პუტინთან ერთად მონაწილეობაა.

ინტერპრესნიუსი

## მიხეილ სააკაშვილი: საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წლის შემდეგაც კი კრემლის მენტალიტეტი უცვლელია

ნიუ-იორკში გაეროს რიგით 66-ე გენერალურ ასამბლეაზე ჩასულმა საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკულ ტელეარხს ინტერვიუ მისცა. მიხეილ სააკაშვილი ტელეკომპანიის დილის გადაცემის სტუმარი იყო.

ამერიკული ტელეკომპანიის ეთერში პრეზიდენტმა რუსეთ - საქართველოს ურთიერთობებზე ისაუბრა და განცხადა რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წლის შემდეგაც კი კრემლის მენტალიტეტი უცვლელია და რუსეთის ფედერაციის პრემიერი ვალდამირ პუტინი იმპერიის აღდგენას აპირებს.

სააკაშვილმა საქართველოში გატარებულ რეფორმებზეც ისაუბრა:

— მიუხედავად მუდმივი ზეწოლისა და საფრთხეებისა, საქართველო დემოკრატიის შენებას წარმატებით განაგრძობს, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

მედიანიუსი

## ანქვაბის ინაუგურაციას აფხაზური ტელევიზია პირდაპირ ეთერში გადასცემს



აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის, ალექსანდრე ანქვაბის ინაუგურაციას აფხაზური ტელევიზია პირდაპირ ეთერში გადასცემს. როგორც სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება, ამის შესახებ დე ფაქტო პარლამენტის სპიკერმა ნუგზარ აშუბამ განაცხადა.

— სახელმწიფოს ახალი მეთაურის ინაუგურაცია მშვიდ, კამერულ ვითარებაში გაიმართება, — განაცხადა აშუბამ. მისივე ინფორმაციით, დე ფაქტო პარლამენტს ცერემონიაზე დასასწრებად უცხოეთიდან სტუმრები არ მიუწვევია.

ალექსანდრე ანქვაბის ინაუგურაცია 26 სექტემბრისთვის არის დაგეგმილი. 11:00 საათზე ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში სახალხო კრების სესია დაიწყება, რომელშიც ასევე მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთის დე ფაქტო უმაღლესი სასამართლოს და მედიის წარმომადგენლები. სესიას აშუბა გახსნის. შემდეგ კი ანქვაბი ხელს კონსტიტუციაზე დადებს და ხალხის მიმართ ერთგულების ფიცს აფხაზურ ენაზე წარმოთქვამს. იგი მოკლე სიტყვითაც გამოვა. აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები 26 აგვისტოს ჩატარდა. ხმათა 54,9% -ით ალექსანდრე ანქვაბმა გაიმარჯვა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რუსეთი ცხინვალის მიერთებისგან თავს იკავებს

## მედვედევმა სამხრეთ ოსეთს „რესპუბლიკის დღე“ მიულოცა

თეა მარხვაი ე

**გუშინ ცხინვალში დიდი დღე იყო. იქაურები კოკოითის თამადობით რესპუბლიკის დღეს აღნიშნავდნენ. 20 სექტემბერი ცხინვალელებისთვის მნიშვნელოვანი 1990 წლის შემდეგ გახდა. 1990 წელს ცხინვალში მიტინგი გაიმართა, სადაც იქაურებმა საქართველოდან გამოყოფის შესახებ გააკეთეს განცხადება.**

ამასთან დაკავშირებით მაშინ თბილისში ერთი ანეკდოტი დადიოდა. ოსებმა მიტინგი გამართეს და მოითხოვეს, ქართველებს თუ უნდათ დამოუკიდებლობა, ჩვენც გვინდა გამოყოფილიო. თავიდან ეს ყველაფერი მართლა სასაცილოდ ჩანდა, ახლა კი ყველაფერი ბევრად ცუდადაა.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში დიდი და პატარა ლიახვის ხეობებს, ფრონეს ხეობასა და ახალგორს ჩვენ ვაკონტროლებდით. გვქონდა იმედი, რომ დაკარგულს დავიბრუნებდით, 2008 წელს კი ეს იმედიც გაქრა.

20 სექტემბერს პრეზიდენტის რანგში კოკოითი წელს ბოლოს შეხვდა. თვე-ნახევარში მის პოსტს სხვა დაიკავებს. ვინ იქნება ეს სხვა, ჯერ გარკვევით არ ჩანს. მოსკოვს ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, ვის დაუჭიროს მხარი.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველებს კი ბოლო არ უჩანს. გავრცელებული ინფორმაციით, კოკოითის თავისი მემკვიდრე გუშინ უნდა დაესახელებინა. ჯერ კიდევ აგვისტოში გახდა ცნობილი, რომ 20 სექტემბერს ცხინვალს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი სერგეი ნარიშკინი ეწვეოდა და სპეციალურად ამ დღეს უნდა დაესახელებინათ სახელისუფლებო კანდიდატი. არავინ იცის, რატომ, მაგრამ კოკოითიმ მემკვიდრე 2 დღით ადრე დაასახელა. ის ანატოლი ბიბილოვი გახდა.

სერგეი ნარიშკინის ვიზიტმა ცხინვალში, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილ ატმოსფეროში ჩაიარა. სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს თბილ სიტყვებსეუბნებოდნენ.

არადა, ცოტა ხნის წინ რუსეთის ხელისუფლება შეშფოთებული იყო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების თაღლითობით. აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა ცხინვალის აღსადგენად უამრავი თანხა გამოყო. თანხები შეჭმულია, ცხინვალი კი ისევ დანგრეულია.

გუშინ ღიად ამაზე არაფერი თქმულა. რუსული მედიის მტკიცებით კი კრემლი ძალიან უკმაყოფილოა კოკოითის საქმიანობით და ადრე თუ გვიან მას შეიძლება პასუხი მოსთხოვონ.

კოკოითის საპრეზიდენტო ვადა იწურება. ოსური მედიის ცნობით, ის პარტია „ედინსტვოს“ გენერალური მდივანი გახდა. პრეზიდენტი პოლიტიკაში დარჩენას კარგა ხანს აპირებს. თუმცა ამჯერად ეს მის სურვილზე არ არის დამოკიდებული. ყველაფერს 13 ნოემბერი გადაწყვეტს.

ამ დღეს არჩევნებს თუ მისი კაცი მოიგებს, მაშინ იქნება და იქნება, თუ არადა, კარგი არაფერი ელოდება.



რაც შეეხება რესპუბლიკის დღეს, ის მეტ-ნაკლები ზარ-ზეიმით აღნიშნა. აქაურებს დიდად არ ეზეიმებათ. არ ეზეიმებათ, იმიტომ რომ ჰაერში დენთის სუნს გრძნობენ. პოზიციაცა და ოპოზიციაც შიშობენ, რომ საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივა.

და კიდევ ერთი: რამდენიმე დღის წინ ცხინვალში ახალი ფრონტი შეიქმნა, რომელიც სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას ითხოვს.

ეს იდეა ცხინვალიდან პირველად არ წამოსულა. ამის შესახებ კოკოითი უკვე დიდი ხანია საუბრობს. მედვედევს სოხუმი და ცხინვალი ხეირიანად აღიარებული არ ჰქონდა, კოკოითიმ რომ თქვა, ჩვენ რუსეთის შემადგენლობაში გვინდაო.

მისი ეს განცხადება მოსკოვში ცუდად მიიღეს. საზღვარგარეთ ვიზიტად მყოფმა სერგეი ლავროვმა მთელი რიგი განმარტებები გააკეთა. იმ დროს ომი ახალი დამთავრებული იყო, რუსეთს კი იმის დამტკიცება სურდა, რომ საქართველოსთვის ტერიტორიები სათავისოდ არ წაურთმევია. ამიტომაც ჩააწყვეტინეს კოკოითის მაშინ ხმა. მაგრამ ამ კაცის გაჩერება ასე ადვილი არ არის.

რუსეთთან შეერთების იდეა კიდევ გაჟღერდა. და არა მარტო გაჟღერდა, სპეციალური ფრონტიც კი შეიქმნა. მოსკოვი ამით დიდად არ აღფრთოვანებულა. აფხაზეთისგან განსხვავებით, მათ სამხრეთ ოსეთი დიდად არ ხიბლავთ. მოსკოვი უფრო კარგ ხასიათზე დადგებოდა, ასეთი ფრონტი სოხუმში რომ შექმნილიყო.

რუსეთთან შესაერთებელი ფრონტი მომავალში გააქტიურებას აპირებს. ამბობენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა რუსეთთან ერთად იცხოვრონ. რა კომენტარი უნდა გააკეთოს ამაზე ადამიანმა? არც არაფერი.

ჯაბა იოსელიანი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ასე იტყოდა: „ოსებს აქედან გამოყოფა და რუსეთში შეყოფა უნდათ“.

ურიგო არ იქნება, თუ ამ ფრონტის წევრები ვლადიმერ ჟირინოვსკის ერთ განცხადებას გაიხსენებენ. რომელიც მან 2008 წლის ბოლოს გააკეთა.

— ჩვენ აფხაზეთისა და ცხინვალის მიწები გვჭირდება, იქაური მოსახლეობა კი ჩვენი მომსახურე უნდა იყოს, — განაცხადა რუსმა პოლიტიკოსმა, რომელიც, მართალია, უბერავს, მაგრამ, როგორც წესი, კრემლის რუპორია და მათ სურვილებს ამჟღავნებს ხოლმე.

და კიდევ ერთი: ნარიშკინმა კოკოითის რუსეთის პრეზიდენტის მოკითხვაც ჩაუტანა. მედვედევი ოსებს გვერდში დგომას დაჰპირდა.

# კოდორში რუსებმა სამხედრო ბაზის მშენებლობა დაიწყეს

## აფხაზი უხუცესები კი რუსეთის იმედად არიან

თეა მარხვაი ე

კოდორის ხეობას უკვე მესამე წელია რუსები და აფხაზები აკონტროლებენ. ამ ულამაზეს ადგილებში ადრე ბევრი ტურისტი ჩამოდიოდა. აფხაზებს გადაწყვეტილი აქვთ, კოდორი ტურიზმის ცენტრად აქციონ. ამ იდეით ჯერ კიდევ სერგეი ბაღაფში გამოვიდა. აქ სანახავი მართლაც ბევრი რამეა.



აფხაზებთან ერთად კოდორთან დაკავშირებით გეგმები აქვთ რუსებსაც. სააგენტო „პირველის“ ინფორმაციით, კოდორის ხეობაში რუსი სამხედროებისთვის ბაზების მშენებლობა მიმდინარეობს.

როგორც სააგენტოს კოდორის ხეობიდან აცნობეს, რუსი სამხედროებისთვის საკენსა და გენწვისში 5-სართულიანი კორპუსები შენდება. რაც შეეხება საგუშაგოებს, სამხედროებს ისინი ხეობის ოთხ სოფელში — საკენში, გენწვისში, ომარიშარასა და ქვაფჩარაში აქვთ მოწყობილი.

ამასთან, წყაროს ინფორმაციით, სამხედროებს ადგილობრივ მცხოვრებლებთან ამჟამად შეხება არ აქვთ და ბოლო პერიოდში არც შევიწროების ფაქტებს ჰქონია ადგილი.

— ადრე, უმთავრესად არჩევნების დროს, პატარ-პატარა ინციდენტები ხდებოდა, ძირითადად — პასპორტებთან დაკავშირებით. ადგილობრივებზე ზეწოლას ახდენდნენ და რუსული პასპორტების აღებას აიძულებდნენ. ნაწილი ამას დათანხმდა, ნაწილი — არა, მაგრამ შემდეგ, როცა სიტუაცია დაიძაბა და ხეობის დაცლის საფრთხე შეიქმნა, ზეწოლა შეწყვიტეს და ადგილობრივებს შეეშვნენ. ამჟამად ხეობაში აფხაზური მთავრობაა განთავსებული, თუმცა აფხაზები აქ მუდმივად არ ცხოვრობენ. ადგილობრივ სვანებსაც სთხოვენ უკან დაბრუნებას და ჰპირდებიან, რომ ხელს არ შეუშლიან, — ყვება წყარო, რომლის მონაცემებით, ამ დროისთვის ხეობაში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაბრუნებული 70 ქართული ოჯახი ცხოვრობს.

სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას კოდორის ხეობა აღარ აინტერესებს. არადა, 2006 წელს მიხეილ სააკაშვილმა ის დიდი ზარ-ზეიმით გამოაცხადა ზემო აფხაზეთად. ნაციონალები კი უტიფრად გვიმტკიცებდნენ, ჩვენ შევძელით აქ საქართველოს იურისდიქციის აღდგენაო.

არადა, იქ საქართველოს იურისდიქცია დარღვეული არ ყოფილა. ადგილობრივები წლების განმავლობაში გმირულად იცავდნენ ხეობას, ვიდრე ავადსახსენებელი 2008 წელი არ დადგა.

იმ დროს ხელისუფლებას ადგილობრივი მოსახლეობისგან იარაღი ამოღებული ჰქონდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, იქნებ ხეობა დღემდე ჩვენს შემადგენლობაში დარჩენილიყო.

მაგრამ ვიღაცამ სხვანაირად გადაწყვიტა და წლების განმავლობაში სისხლით შენარჩუნებული ხეობა ერთ დღეში უბრძოლველად ჩაბარდა მოწინააღმდეგეს. იქ ქართველ სამხედროებს უამრავი იარაღი დარჩათ. ამ შეიარაღებას აფხაზები და რუსები რამდენიმე თვის განმავლობაში ეზიდებოდნენ.

რუსები სამხედრო ბაზებს აფხაზეთის სხვა ტერიტორიაზეც აშენებენ. აფხაზებს რუსები საქართველოსგან დამცველ ძალად მიაჩნიათ. რუსეთი აფხაზ უხუცესებსაც ეიმედებათ.

აფხაზურმა მედიამ აფხაზი უხუცესების განცხადება გაავრცელა. ეს განცხადება ჭარმაგმა აფხაზებმა ამერიკის სენატის საპასუხოდ გაავრცელეს.

აფხაზეთის უხუცესთა საბჭო კატეგორიულად არ ეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების სენატის მიერ ივლისის ბოლოს მიღებულ რეზოლუციას, რომლითაც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიადაა მიჩნეული. უხუცესთა საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ აფხაზეთის მშვიდობისა და ეკონომიკური განვითარების გარანტი რუსეთია.

„ექსპერტთა კლუბის“ განმარტებით, უხუცესთა საბჭოს განცხადებაში რიგი ისტორიული ფაქტები თავდაყირაა დაყენებული. უხუცესები, რომელთაც აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი კონსტანტინე ოზგანი ხელმძღვანელობს, თვლიან, რომ სენატმა საქართველოს კი არა, საქართველოს სსრ ტერიტორია ცნო, ათვლას კი 1931 წლიდან იწყებენ, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ 1920 წლის რუსეთ-საქართველოს შეთანხმებით საქართველოს საზღვარი მდინარე ფსოუთი განისაზღვრა, ეგ რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო ადრინდელ ისტორიულ ფაქტებზე და არ შევიდეთ ისტორიულ პოლემიკაში.

— ასეთ სისულელეებს მხოლოდ პოლიტიკური ანგაჟირების პირობებში წერენ, თანაც საგულისხმოა, რომ ივლისის ბოლოს მიღებულ რეზოლუციას სექტემბრის ბოლოს პასუხობენ, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ახლა მომწიფდა სწორედ რაღაც პერიოდი, როდესაც ოზგანს თავის გამოჩენა დასჭირდა. საკითხავია, თუ იციან ამ განცხადების შესახებ უხუცესთა საბჭოს სხვა წევრებმა, — მიაჩნიათ „ექსპერტთა კლუბში“.

ჩვენი ექსპერტების განმარტებით, ეს განცხადება აფხაზეთის ახალი მთავრობის ფორმირებასთან არის დაკავშირებული. მათი თქმით, ანქვაბის მიერ ახალი მთავრობის ჩამოყალიბების პროცესი ჯერ დასრულებული არ არის.

— გაურკვეველია ბევრი რამ. ამ პირობებში კი ოზგანს შესაძლოა საკუთარი ამბიციებიც გააჩნდეს — როდემდე უნდა სდიოს სკლეროზიან უხუცესებს. ამ განცხადებით კი თადარიგი დაიჭირა — საკუთარი თავი შეახსენა საზოგადოებას და რუსეთს განუცხადა, რომ მისი ყურმოჭრილი მონაა. იქნებ რომელიმეს — ანქვაბს ან მის პატრონებს კრემლში თვალში მოუვიდეთ ოზგანი და რომელიმე თანამდებობაზეც გაამწესონ. ისე კი, ის ხალხი, რომელმაც თავისი ისტორია იმ დონეზე იცის, როგორც აღნიშნულ განცხადებაშია მოყვანილი, მეტის ღირსი არც არის, — აცხადებენ ქართველი ექსპერტები.

კონსტანტინე ოზგანი თავისი ანტიქართული ორიენტაციით ყოველთვის გამოირჩეოდა. არძინბას მთავრობაში მას საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავა. ბაღაფშის დროს ის, ფაქტობრივად, უმუშევარი დარჩა. სამაგიეროდ მისი შვილი დანიშნეს მინისტრად.

ოზგანი კარგა ხანს არსად ჩანდა. ამ ზაფხულს კი რამდენჯერმე გაინერვიულა თავი. საპრეზიდენტო არჩევნების წინ მან და უხუცესებმა რამდენიმე განცხადება გააკეთეს. მას და მის საძმოს ანქვაბის საწინააღმდეგო არაფერი უთქვამთ. ამდენად, მას კიდევ აქვს შანსი. ვნახოთ, დაუფასებს თუ არა მას ამაგს ანქვაბი.

### გალის სამხედრო კომისარიატის უფროსის მოადგილე დააკავეს

აფხაზურმა პოლიციამ გალის სამხედრო კომისარიატის უფროსის მოადგილე ბესიკ კირთაძე დააკავა.

როგორც „პირველს“ გალის რაიონიდან აცნობეს, კირთაძე იმ დროს დააკავეს, როცა გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში მოსაკრებლის სახით მოსახლეობაში თხილს აგროვებდა.

— როგორც თქვეს, კირთაძე გაფრთხილებული ყოფილა, მოსახლეობაში თხილი არ აეგროვებინა, თუმცა ეს მაინც გააკეთა და დააკავეს კიდეც, — განუცხადა „პირველს“ წყარომ.

მისივე ინფორმაციით, ეს კირთაძეზე ზეწოლის პირველი ფაქტი არ არის. კერძოდ, იგი ჯერ კიდევ დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნებამდე ალექსანდრე ანქვაბის მომხრეების მიერ იყო ნაცემი და სოჭში მკურნალობდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ კირთაძეს უკავშირდება გალის რაიონის დაწიოკებისა და ე.წ. რეიდების საქმე. იგი განსაკუთრებით ჯარში სეზონური გაწვევების დროს აქტიურობდა და ქართველ ახალგაზრდებს აფხაზურ ჯარში მსახურს ან გათავისუფლების სანაცვლოდ საკმაოდ დიდი თანხის გადახდას აიძულებდა.

პირველი

### საგადასახადო ომბუდსმენი და მისი მოადგილე „თანამდებობის პირები“ ხდებიან

საგადასახადო ომბუდსმენი და მისი მოადგილე, „თანამდებობის პირები“ ხდებიან. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში შედის.

შესაბამისად, საგადასახადო ომბუდსმენს და მოადგილეს ქონებრივი დეკლარაციების შევსებაც მოუწევთ. ასევე, მათზე გავრცელდება მთელი რიგი შეზღუდვები.

კერძოდ, არ ექნებათ უფლება შეასრულონ რაიმე ანაზღაურებადი სამუშაო, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა. ასევე, ვერ დაიკავებენ რაიმე თანამდებობას რომელიმე საწარმოში.

ამასთან, საგადასახადო ომბუდსმენს და მის მოადგილეს უფლება არ ექნებათ გაამჟღავნონ ან არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოიყენონ სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ან სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაცია და ა.შ. აღნიშნული ინიციატივა მთავრობას ეკუთვნის.

ინტერპრესნიუსი

### დავით ბაქრაძე დღეს „ფეისბუკის“ მეგობრებს შეხვდება



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე დღეს სოციალურ ქსელ „ფეისბუკის“ მეგობრებს შეხვდება. რიგით მეორე შეხვედრა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გაიმართება. როგორც დავით ბაქრაძემ საკუთარ ვებგვერდზე დარეგისტრირებულ აქტიურ ფანებს აცნობა, მის მეგობართა რაოდენობა უკვე 20 000-ს უახლოვდება.

— ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალ კვირას, სავარაუდოდ, 21 სექტემბერს, პარლამენტში კიდევ ერთი გაცნობითი შეხვედრა გაიმართება. პირობები იგივეა, რაც აგვისტოში — ადმინისტრატორების მიერ შერჩეული 10 მეგობარი პარლამენტის გაცნობითი ტურისათვის და 10 — პარლამენტის ტურისა და ჩემთან ერთობლივი სადილისათვის. ყველას გისურვებთ წარმატებას!, — აღნიშნულია მის ვებგვერდზე.

პარლამენტის თავმჯდომარემ „ფეისბუკის“ ქსელში რეგისტრირებული ყველაზე აქტიური და კეთილგანწყობილი ვირტუალური მეგობრები მიმდინარე წლის აგვისტოშიც გაიცნო. მან 10 მათგანთან ერთად რესტორანში ისადილა, 10 ადამიანისათვის კი პარლამენტში ექსკურსია მოაწყო.

მედიანიუსი

# როგორ აწამებენ პატიმარ ქალებს

რუსთავში ქალი პატიმრებისთვის გახსნილი ციხის ახალი შენობა 1020 მსჯავრდებულზეა გათვლილი. სასჯელაღსრულების უწყების ინფორმაციით, ეს ევროპული სტანდარტის შესაბამისი კომპლექსია — ძირითად კორპუსში 55-ადგილიანი სამედიცინო ნაწილია განთავსებული, სადაც სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური კაბინეტები, საპროცედურო ოთახები, აფთიაქი და სხვადასხვა პროფილის ლაბორატორია ფუნქციონირებს; ქრონიკული ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა პალატები ცალკეებით მდებარეობს; ასევე, ცალკე დგას დედათა და ჩვილ ბავშვთა კორპუსი, ბავშვებისთვის საჭირო ყველა ნივთით, სასეირნო ეზოთი და სკვერით... მოკლედ, ვერაფერს იტყვი! თუმცა ქალთა ციხეში არსებულ პირობებს თავად პატიმრები ჯოჯოხეთურს უწოდებენ და აცხადებენ, რომ მაშინ, გახსნაზე, ქვეყნის პირველ პირსა და მიწვეულ ოფიციოზს რამდენიმე საჩვენებელი საკანი დაათვალიერებინეს, დანარჩენ შენობაში კი დღემდე აუტანელი პირობებია. ქალების კონკრეტული პრეტენზიები რომ ტყუილი არ გახლავთ, ეს სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა დაადასტურა.

და მაინც, რა აღელვებთ ყველაზე მეტად პატიმარ ქალბატონებს? ცოტა ხნის წინ, ქალმა ტუსაღებმა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის შესახებ ტელეფონით გვიამბეს. ქალბატონები მედიისაგან პოლიტიკოსებამდე ხმის მიწვდენას ითხოვდნენ. ეს პრობლემა მოკლევადიანი პაემნის გამართვის ფორმაში მდგომარეობს.

„ქალები ვართ, უმრავლესობას 3-4 შვილი გვყავს და მათი ნახვის უფლება მხოლოდ თვეში სამჯერ გვაქვს. პაემანი სულ რაღაც ერთ საათს გრძელდება, თუმცა მთავარი პრობლემა ისაა, რომ საკუთარი შვილების უშუალოდ, პირისპირ ნახვა არ შეგვიძლია, უფლება არ გვაქვს, მათ მივეფეროთ. პაემანი შუშით გადატიხრულ კაბინაში მიმდინარეობს და შვილებს ტელეფონის მეშვეობით ველაპარაკებით. პრობლემაა ისიც, რომ პაემანზე მოსულ ჩვენს შვილებს ჩხრეკენ, 3 წლის ბავშვს პამპერსსაც კი ხდიან. უკვე იმ დონემდე ვართ მისული, რომ შვილების აქ მოსვლა აღარ გვინდა. თანაც, პაემნის ოთახში 24 ქალი ერთად შევყავართ და ყველა ერთად საუბრობს...

ჩვენთან არიან არასრულწლოვანი პატიმრებიც, მაგალითად 15 წლის გოგონაა, რომელსაც აქაურობასთან შეგუება ძალიან უჭირს, წარმოიდგინეთ, როგორ უნდა დედასთან პირისპირ შეხვედრა! გვინდა, რომ ამ პრობლემის შესახებ ყველას მივაწვდინოთ ხმა. ციხის ადმინისტრაციას კი ვესაუბრებით, ისინიც შედიან მდგომარეობაში, მაგრამ არაფერი შეუძლიათ“, — გვითხრა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

აღმოჩნდა, რომ მოკლევადიანი პაემნის ე.წ. ევროპული წესი — პატიმრისა და მისი ახლობლის შუშით გადატიხრულ სივრცეში შეხვედრა, შეცვლას არ ექვემდებარება. სასჯელაღსრულების სამინისტროში პატიმარ ქალებს მხოლოდ გრძელვადიანი პაემნების შესაძლებლობით ანუგეშებენ.

მოკლევადიანი პაემნის ფორმა რომ კვლავ ძირითად პრობლემად რჩება, ერთ-ერთი ქალბატონის მიერ ციხიდან ადვოკატის ხელით გამოგზავნილი წერილიდანაც ვიგებთ: „აქ ჯოჯოხეთია! ისე არ გამიგოთ, თითქოს არ მესმოდეს, რომ დამნაშავეთა კატეგორიას განვეკუთვნებით. ბუნებრივია, აქაური ყოფა ედემის მსგავსი ვერ იქნება, მაგრამ ეს პირობები ცოცხალი არსებისათვის, თუნდაც დამნაშავისათვის, შეუფერებელია. დამერწმუნეთ, ძალიან კარგად ვიცნობ აქ თავმოყრილ ადამიანებს, ვიცი, რაშიც ედებათ ბრალი და ცასლასახად შემიძლია გითხრათ, აქ მყოფი ქალების 80 პროცენტი არც კრიმინალური წარსულისა და არც კრიმინალური ბუნებისა არაა. ალბათ, კარგად იცით, როგორ ხდება დღევანდელ საქართველოში მსჯავრის დადება...

მოკლევადიან პაემნებს თვეში სამჯერ გვაძლევენ. ამ დაწესებულებაში რამდენიმე რეჟიმია თავმოყრილი: საპყრობილეც, ღია დაწესებულებაც, ნახევრად ღიაც და დახურულიც, მაგრამ პაემნის ფორმა ყველას ერთნაირი აქვს — შეხვედრა შუშის იქით, კონტაქტი ტელეფონის საშუალებით.

ჩვენი საწუხარი უფრო გასაგები რომ გახდეს, ერთ მაგალითს გეტყვით: პაემანზე მოყვანილმა 2 წლის ბიჭმა ვერაფრით გაიგო, რატომ ვერ ეხებოდა დედას, რომელსაც ხედავდა. ისიც ვერ გაიგო, დედის ხმა რატომ არ ესმოდა. მეტი რა გითხრათ! თუკი ეს ევროპული სტანდარტია, თუკი სასჯელს ევროსტანდარტის ციხეში ვიხდით, მაშინ ევროპული სტანდარტის შესაბამისი კანონმდებლობითა და ფორმით გაგვასამართლონ და ვნახოთ, მოვხვდებით თუ არა აქ, ციხეში.

აქ არც ევროპული სტანდარტის შესაფერისია რამე და არც ქართულისა. შემზარავია ე.წ. დეპარტამენტის ბიჭების შემოვარდნა, რომლებიც მსჯავრდებულ ქალებს, პირადი ჩხრეკის ჩატარების მოტივით, გინეკოლოგიურ სკამზე ღრიანცელით ერეკებიან, რათა „გონივრული ეჭვის საფუძველზე“ რამე აკრძალული ნივთი უპოვონ.

ჩვენი უკანონო კანონებითაც კი არ არის განსაზღვრული, რომ ქალები უიატაკო, ბეტონის საკნებში უნდა ვისხდეთ. ამ საპატიმროს ოფიციალურად გახსნის დროს საზოგადოებას კეთილმოწყობილი სანიტარული ნაწილი აჩვენეს, სხვაგან ყველგან ბეტონია. წყალი, რომელსაც აქ გვაძლევენ, ვინმემ რომ გასინჯოს, დასალევად კი არა, ტექნიკური მიზნებისთვისაც არ გამოიყენებს. საჭმელზე ლაპარაკი უხერხულია, რადგანაც ვიცი, რომ გარეთ ბევრი ამასაც კი ვერ ჭამს“.

პატიმარი ქალბატონების მიერ დასახელებული ფაქტები, სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, სახალხო დამცველის ბოლო საპარლამენტო ანგარიშშიც მოხვდა: „ყველა საკანში იატაკის საფარი არის ბეტონის, რის გამოც პატიმრებს მიეცათ უფლება, ჰქონდეთ ხალიჩები. მონიტორინგის დროს ხალიჩები მხოლოდ რამდენიმე საკანში იყო დაგებული... დაწესებულებაში არის ერთი საცხოვრებელი კორპუსი (დედათა და ბავშვთა), რომელიც შედგება 6 ოთახისგან, თუმცა, როგორც სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები მოწმობს, აღნიშნული ინფრასტრუქტურა არასაკმარისია იმისთვის, რომ ყველა პატიმარი დედა დააკმაყოფილოს. შესაბამისად, არასაკმარისი ინფრასტრუქტურა იწვევს პატიმარი ქალების არათანაბარ პირობებში მოქცევას“.



სახალხო დამცველი ინფორმირებულია მოკლევადიანი პაემნის ფორმასთან დაკავშირებული პრეტენზიის შესახებაც, თუმცა უწყებაში არსებულ ნორმებს ომბუდსმენი ვერ შეცვლის, ამის უფლება არ გააჩნია. საკანონმდებლო დონეზე, ამ წესის შეცვლას ცდილობს პარლამენტარი ჯონდი ბაღათურია, რომელსაც ქალბატონი პატიმრები ხშირად უგზავნიან წერილებს და დახმარებას სთხოვენ. თუმცა, ჯერჯერობით, ვერც ბაღათურია ცვლის არსებულ რეალობას.

ჯონდი ბაღათურია: „მხოლოდ ამ ფაქტითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ხელისუფლება პატიმრების მიმართ სისიტიკეს იჩენს. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ამ შუშის ტიხარის გარეშე უსაფრთხოებას ვერ დაიცავენ. ადამიანის გარესამყაროსგან იზოლირება ახალი დანაშაულის ერთგვარი პრევენციაა, სასჯელის მიზანი დამნაშავის გამოსწორებაა და არა მასზე შურისძიება. პატიმარი უკვე დასჯილია, რომ მას თავისუფლება აქვს აღკვეთილი. სხვა დამატებითი სასჯელები კი უკვე სისასტიკეა და წესით, ასეთი რამის დაწესება დემოკრატიულ მმართველობას არ ახასიათებს. ასეთ სისასტიკეს ყოველთვის ავტორიტარული რეჟიმი ავლენს, რათა საზოგადოებაში უფრო დიდი შიში დათესოს. ხალხს ციხის შიში უნდა ჰქონდეს, პატიმრები განსაკუთრებულად ცუდ მდგომარეობაში უნდა იყვნენ, რომ საზოგადოებას მმართველი გუნდისა ეშინოდეს“.

**შალვა ჯოხაძე**

## გელა ნიკოლაიშვილი: ხანგოშვილის გათავისუფლებამ დაადასტურა ეჭვები, რომ ის უდანაშაულო იყო



ადვოკატისა და უფლებადამცველის გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, შორენა (ასმათ) ხანგოშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებამ ცხადყო, რომ ის უდანაშაულო იყო და ნარკოტიკების შეძენა, შენახვა-გასაღების ბრალდება მხოლოდ მის ძმაზე ზეწოლის მიზნით წაუყენეს.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას უფლებადამცველმა აღნიშნა, როდესაც ადამიანს წაყენებული აქვს ისეთი მძიმე ბრალდება, როგორიცაა 260-მუხლის მეორე ნაწილი, ორ თვიან წინასწარ პატიმრობას ითვალისწინებს და მისი გათვაისუფელბა არ შეიძლება. ასმათ ხანგოშვლი კი მოულოდნელად გაათავისუფლეს. ეს კი მიანიშნებს მხოლოდ ერთ რამეზე — ხანგოშვილი უდანაშაულო იყო და მას ნარკოტიკები ჩაუდეს.

— ეს ფაქტი ადასტურებს ხანგოშვილების ახლობლების საფუძვლიან ვარაუდს, რომ ასმათ ხანგოშვილის დაკავება მის ძმაზე ზეწოლის მოხდენის მიზნით მოხდა. მათ უნდოდათ ხანგოშვილის ძმა ეიძულებინათ, გამოცხადებულიყო, ანდა ქალბატონისთვის ეთქმევინებინათ ძმის ადგილსამყოფელი. მაგრამ როდესაც ასეთი აჟიოტაჟი ატყდა და საერთაშორისო ორგანიზაციებიც გამოეხმაურნენ, მიხვდნენ, რომ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და სიტუაციიდან გამოსავლის ძებნა დაიწყეს.. ეს იყო პოლიციის მიერ ნარკოტიკების ჩადების მორიგი ფაქტი. ბოლოს უკან დაიხიეს და გაათავისუფლეს. სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის. პოლიტიკურ ოპონენტებისა თუ ხელისუფლებისთვის არასასურველ პიროვნებების მიმართ ხშირად იყენებენ მსგავს მეთოდს. ამის არაერთ მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება, — აღნიშნავს ნიკოლაიშვილი.

მისი თქმით, დღეს პოლიციას უფლება აქვს, როცა უნდა დააკავოს ადამიანი, მტკიცებულებად წარადგინოს ნებისმიერ ფხვნილი და თქვას, რომ ნარკოტიკია და დაკავებულს აღმოუჩინა.

— ხშირად აკავებენ ასევე პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით. პოლიციელი იტყვის, რომ მოქალაქემ მას წინააღმდეგობა გაუწია და მოსამრთლესთვის ეს საკმარისია. როგორც ეს მოხდა ქუთაისში მეტალურგებთან დაკავშირებით, ასევე თბილისში გამართული არაერთი აქციის დროს. საკმარისია პოლიცილემა თქვას, რომ დიახ, გამიწია წინააღმდეგობა, დიახ, მე ამოვიღე ნარკოტიკი და მისცეს ნებისმიერი ჩვენება ვინმეს წინააღმდეგ, სასამართლოს აღარ აქვს განსჯის საშუალება და სურვილი. ფაქტობრივად, მათ დააკანონეს პოლიციელის ჩვენება ეს არის კანონი. სასამრთლო არის მხოლოდ ფორმალობა, — აცხადებს ადვოკატი.

ნიკოლეიშვილის თქმით, მსგავსი ფაქტები საზოგადოების დაშინებას ემსახურება.

— უდანაშაულო ადამიანების დაკავებით, გარდა იმისა, რომ კონკრეტულ საქმეებს აგვარებენ ისე, როგორც მათ სურთ, საზოგადოებასაც აფრთხილებენ, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ და დაპირისპირების შემთხვევაში ფონს ვერ გავლენ, რადგან ძალა მათ ხელშია, — განუცხადა „მედიანიუსს“ გელა ნიკოლეიშვილმა. ასმათ ხანგოშვილი 16 სექტემბერს, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით (ნარკოტიკების შეძენა, შენახვა, გასაღება) ახმეტაში დააკავეს. ის თბილისში იმავე დღეს გადაიყვანეს და ერთთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

ხანგოშვილის დაკავების გამო მისმა თანასოფლელებმა და ჩეჩნეთში მოკლული ინგლისელი ჟურნალისტის სახელობის ფონდმა „როდი სკოტის“ თანამშრომლებმა, საპროტესტო აქციები გამართეს. ასმათა ხანგოშვილი აღნიშნული ფონდის წარმომადგენელი იყო.

**მედიანიუსი**

## ევროსასამართლომ „იუკოსის“ საქმეზე რუსეთის ხელისუფლების ბრალი აღიარა

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ნავთობკომპანია „იუკოსის საქმეზე ხელისუფლების ბრალი აღიარა, — იუწყება „ბიბისი“.

წყაროს ცნობით, სასამართლომ რუსეთის ხელისუფლება ხსენებული კომპანიის გაკოტრების დროს დაშვებულ დარღვევებში ამხილა. თუმცა კომპანიისათვის კომპენსაციის გაცემის შესახებ შეტანილ სარჩელზე გადაწყვეტილება არ მიუღია. აღნიშნული სარჩელით სასამართლოს „იუკოსის“ ყოფილმა ხელმძღვანელობამ მიმართა. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ ნავთობკომპანიას საგადასახადო სარჩელების მოსამზადებლად საკმარისი დრო არ მისცა, რითიც მის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლება დაარღვია. დარღვევები საგადასახადო სარჩელების წარდგენის დროსაც გამოიკვეთა.

— თუმცა ევროსასამართლომ საქმის განხილვისას ვერ აღმოაჩინა დარღვევები, რომელიც მას იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას მისცემდა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ეს სასამართლო პროცედურები „იუკოსის“ დასაშლელად და მისი აქტივების ხელში ჩასაგდებად გამოიყენა, — იუწყება „ბიბისი“.

შეგახსენებთ, რომ ე.წ. „იუკოსის“ საქმე ბოლო წლებში რუსეთში არსებულ საქმეთაგან ყველაზე ხმაურიანია. რუსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა ქვეყნის ყველაზე მსხვილი კომპანიის ხელმძღვანელობას მთელ რიგ ეკონომიკურ დანაშაულებში დასდეს ბრალი. ამის შედეგად „იუკოსი“ გაკოტრდა, მისი აქტივები კი სახელმწიფო „კომპანია „როსნეფტს“ გადაეცა. დასავლეთში დღემდე მიიჩნევენ, რომ ეს საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია, ხოლო კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელი მიხეილ ხოდორკოვსკი პუტინის პირადი პატიმარია.

**მედიანიუსი**

## დის განზრახ მკვლელობისათვის 51 წლის მერაბ ციბაძე დააკავეს



შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დის განზრახ მკვლელობისათვის 51 წლის მერაბ ციბაძე დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის 18 სექტემბერს წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებში ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დას, ნაზი ციბაძე-კაშიას თავის არეში ნაჯახის დარტყმით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა.

გარდა ამისა, ციბაძემ ხის კეტის გამოყენებით ფიზიკური შეურაცხყოფა დისშვილს ლელა კაშიას მიაყენა.

სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან დანაშაულის იარაღი ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რომელიც თავისუფლების 7-დან 15 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

**პირველი**

## სუბელიანის უწყებას საჯარო ინფორმაციის გაცემა უჭირს



ყველაზე დახურულ სახელმწიფო უწყებებად სასჯელაღსრულების, ლტოლვილთა და განსახლებისა და თავდაცვის სამინისტროები დასახელდნენ.

ამის შესახებ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2011 წლის პირველი კვარტლის ანგარიშშია ნათქვამი.

— ორგანიზაციამ 2011 წლის აპრილ-აგვისტოს განმავლობაში 154 საჯარო დაწესებულებაში სულ 2740 სხვადასხვა მოთხოვნა გაგზავნა, რომელსაც საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, თავდაცვის სამინისტრომ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ აბსოლუტური იგნორირებით უპასუხეს. აღსანიშნავია ისიც, რომ საჯარო დაწესებულებებმა უმეტეს შემთხვევაში პასუხები სრულყოფილი სახით მოგვაწოდეს, — ნათქვამია ანგარიშში.

**პირველი**

## საქართველომ მალავისთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა



საქართველომ და მალავის რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს ოქმს დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარების შესახებ. ოქმის თანახმად, ესწრაფიან რა განავითარონ პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და კულტურული კავშირები, ერთმანეთთან ურთიერთობებში სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ თანასწორობის, ეროვნული სუვერენიტეტისა, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, სახელმწიფო საზღვრების ურღვეობისა და ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით.

მალავის მხრიდან ოქმს ხელი მოაწერა ამ სახელმწიფოს მიდმივმა წარმომადგენელმა გაეროსთან, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ბრაიან ბოულერმა, საქართველოს მხრიდან — საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროსთან, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ალექსანდრე ლომაიამ.

ხელმოწერის ცერემონიალი ნიუ-იორკში, გაეროსთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა. დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ მხარეებმა ერთობლივი წერილით აცნობეს გაეროს გენერალურ მდივანს, ბან კი მუნს.

2011 წელს საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები კიდევ 15 სახელმწიფოსთან დაამყარა. ესენი არიან ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამის თანამეგობრობა, გვინეა-ბისაუ, კონგო, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მავრიტანია, მაურიტიუსი, მიკრონეზია, რუანდა, სოლომონის კუნძულები, სომალი, სურინამი, ტრინიდადი და ტობაგო, ტუვალუ და ჰონდურასი.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილს ოპოზიცია ჯიბეში უზის

შორენა კოწოწაშვილი

**უნდა იყოს თუ არა ეროვნული ფორუმი პოლიტიკაში და რატომ შეი ლება, არ მოვიდნენ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები 2§ სექტემბრის „ქართველთა მარშზე“ — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტიკური მო რაობა „კანონი და სამართლიანობის“ ლიდერ შალვა ხაჭაპური ესთან.**

***— ბატონო შალვა, რა აზრის ხართ „ეროვნული ფორუმის“ ინიციატივაზე, მოეწყოს განრისხებულ „ქართველთა მარში“ და შეძლებს ფორუმის ეს მოწოდება საზოგადოების მობილიზებას?***

— როგორც მოვისმინე, ეს არის ერთდღიანი აქცია. მივესალმები ინიციატივას, კარგია და ვთვლი, რომ ყველა ადამიანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, ვინც ფიქრობს, რომ საქართველოს ტირანი მართავს და ტოტალიტარული რეჟიმია დამყარებული სახელმწიფოში. ასე რომ, ინიციატივას დადებითად ვუყურებ, თუმცა, ამასთან დაკავშირებით ჩემი შეხედულება მაქვს. ვთვლი, რომ უნდა ჩატარდეს არა მარტო ერთჯერადი აქცია და ა.შ. სხვათა შორის, არის ისეთი შემთხვევები ქართულ პოლიტიკაში, როდესაც იმართება რაღაც შეკრება, ვთქვათ, კალათბურთის სასახლეში ან ფილარმონიაში და ეს არის სულ ერთჯერადი ხასიათის აქციები, შემდეგ ამას არანაირი განვითარება არ მოჰყვება. იცით, როგორ პროცესზე ვართ გადასული? გამოვაცხადებთ რაღაც დღეს, შევიკრიბებით, ვიტყვით, არ უნდა დავიშალოთ, სანამ არ გავიმარჯვებთო და მერე ისევ ვიშლებით. ტირანიას ყოველთვის აწყობს ასეთი აქციები, როდესაც იკრიბება საზოგადოება და ამბობს, არ დავიშლებით, სანამ სააკაშვილი არ წავაო. ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოდ ჟღერს ტირანიისთვის. ტირანი იყენებს ძალადობას, ტერორს და შედეგად, საბოლოო ჯამში, მარცხდება ის მოძრაობა, რომელიც ტირანიის წინააღმდეგ არის მიმართული. ამის უამრავი მაგალითი გვქონდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს აქცია კარგია. მონაწილეობას მივიღებ ჩემს ორგანიზაციასთან ერთად, თუ სასამართლო პროცესი არ მექნება იმ დღეს. მაგრამ, მე ვთვლი, რომ საქართველოში დასაწყებია სულ სხვა პროცესი და სულ სხვა თუნდაც თეორიული და პრაქტიკული მიმდინარეობა.

***— ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყების აუცილებლობაზე რამდენიმე თვის წინ თქვენც გააკეთეთ განცხადება. დღეს რა განსხვავებულ პოლიტიკურ პროცესზე მიანიშნებთ?***

— უახლოეს პერიოდში ჩვენ, გარკვეული ჯგუფი საზოგადოებისთვის საკმაოდ ცნობილი ადამიანებისა, მოვაწყობთ პრეზენტაციას. ფუძნდება ახალი ორგანიზაცია, რომელსაც პირობითად ასე დაერქმევა: „ქართული ეროვნული მოძრაობა“. საზოგადოების წინაშე წარმოდგენილი იქნება ის შეხედულებები, რომელი პრობლემების წინაშეც დღეს დგას საქართველო და ქართველი ერი და მათი გადალახვის გზები. იცით, რომ ქვეყანაში არის უამრავი პრობლემა: ეთნიკური პრობლემები, ეკონომიკური, მიუმხრობელთა პრობლემა, არის საზოგადოების ნაწილი, რომელსაც არასდროს არავინ აქცევს ყურადღებას. დღეს საზოგადოების დაახლოებით 80% არის მიუმხრობელი ანუ ხელისუფლებამ ისინი დატოვა თავისი ყურადღების მიღმა. ეს ის ხალხია, რომელიც იდეოლოგიურად არ იზიარებს ამ ხელისუფლების მოსაზრებას. აქ არის რელიგიური, სოციალური, ეკონომიკური და ა.შ. საკითხები. სამი წელია ამ პროექტზე ვმუშაობთ და ოქტომბრის დასაწყისში მოხდება მისი პრეზენტაცია. მაგრამ ეს იქნება სრულიად ახალი ტაქტიკის მქონე ორგანიზაცია. ჩვენი მთავარი მიზანია „არა ძალადობას!“ ფაქტობრივად, ეს არის მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას გზა. უფრო მეტიც, ეს არის განდის გზა. შეხვედრები გვქონდა ბევრ უცხოელ სპეციალისტთან, რომლებიც ამ გზით ავითარებდნენ თავიანთ პოლიტიკურ მოღვაწეობას ქვეყნის გადასარჩენად. შესაბამისად, ჩვენ მზად ვართ იმისთვის, რომ გავაკეთოთ განცხადება და დავიწყოთ სათანადო მოქმედება. სხვა გზა, რომელიც იქნება დაკავშირებული ძალადობასთან, დესტრუქციულ ქმედებასთან, რადიკალურობასთან, ყველა ეს გზა საქართველოში დამღუპველია. საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე დღის წინ დააარსა პირველი ქართული სამხედრო აკადემია. მიმაჩნია და ხმამაღლა ვამბობ: ვულოცავ ქართველ ერს, ეს არის ძალიან სერიოზული ნაბიჯი. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა კიდეც სააკაშვილის ხელისუფლებისგან ამ ნაბიჯის გადადგმა. იცით, რომ კარგა ხანია პოლიტიკურ არენაზე არ გამოვჩენილვარ.



***— რატომ გეპარებოდათ ეჭვი, რომ ეს ხელისუფლება ქართულ სამხედრო აკადემიას გახსნიდა?***

— სააკაშვილის ნაბიჯებიდან და მოსალოდნელი პოლიტიკური პრიცესებიდან გამომდინარე. ვეთანხმები სააკაშვილს იმასთან დაკავშირებით, რომ, არ არის გამორიცხული, საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარე გარკვეული სახელმწიფოების დაშლის პროცესებსაც მოვესწროთ, ანუ გარკვეულ დესტრუქციულ მოქმედებებსაც და, არ არის გამორიცხული, ადგილი ჰქონდეს თვითდაშლის პროცესების შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ სამხედრო მოქმედებებსა და ჩარევებს. ეს შეიძლება იყოს ბანდების მეთაურობით. ამიტომ ვთვლი, რომ საქართველოს ერთი-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს ძლიერი არმიის შექნა. მიმაჩნია, რომ ჩვენი არმია არ უნდა ჩამოუვარდებოდეს ისრაელის არმიას.

***— მოდით, 27 სექტემბერს დაანონსებულ განრისხებული ქართველების მარშს დავუბრუნდეთ. შესაძლოა ეს დღე ოპოზიციის გამაერთიანებელი გახდეს?***

— პოლიტიკური ოპოზიცია საქართველოში, ვეჭვობ, ოდესმე გაერთიანდეს. ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ეს გამორიცხულია. მე არ მოვერიდები და ვიტყვი, რომ ძალიან ბევრი ოპოზიციური ძალა სააკაშვილს პირდაპირ ნაყიდი ჰყავს და ჯიბეში უზის. როგორ წარმოგიდგენიათ იმ ძალების გაერთიანება, რომლებიც სააკაშვილს ნაყიდი ჰყავს და რომლებიც არ არიან ხელისუფლებასთან გარიგებაში. თუ ის ძალები მივლენ, რომლებიც ხელისუფლებას ნაყიდი ჰყავს და გვერდში დაუდგებიან იმ ძალებს, რომლებიც რეალურად იბრძვიან რეჟიმის შესაცვლელად, მაშინ სააკაშვილი ეტყვის: დაგიდებთ კომპრომატებს თქვენ მიერ ფულის აღებისა და ა.შ. ათასი ჭორ-მართალი დადის. მე პირადად მივესალმები ქართული ოპოზიციის გაერთიანებას. ჩვენ თავის დროზე ვნახეთ ეროვნულ საბჭოში გაერთიანებული ძალები და შემდეგ ის, თუ როგორ დაიშალნენ. ოპოზიცია კი არა, პარტიები იშლებიან შიგნიდან. 5-10-კაციანი პარტიებიც კი იშლებიან, აქაც კი ხელისუფლების მიერ შეგზავნილი ხალხი ბოგინობს. კარგი იქნება, თუ ოპოზიცია გაერთიანდება. თუ ყველა თვლის, რომ ტირანიის წინააღმდეგ იბრძვის. მინიმუმ 7 წლის წინ უნდა გაერთიანებულიყვნენ ეს პარტიები და გვერდზე გადაედოთ პირადი ამბიციები და ინტერესები. ზაფხულის დასაწყისში ითქვა, რომ რვიანი უნდა გასულიყო და რაიონებში უნდა ემუშავა ხალხის მობილიზებაზე. მაგრამ მალე რვიანი გახდა ექვსიანი. ამ ექვსიანიდან კი რაიონებში არც ერთი არ ყოფილა. დასასვენებლად თუ ვინმე იყო წასული, ეს არ ითვლება.

***— ირაკლი ალასანიამ გამართა არაერთი შეხვედრა რეგიონებში.***

— კი ბატონო, სადღაც იყო წასული და ვილაცებს შეხვდა. მეც ვიყავი თეთრი წყაროში, რაჭაში, იმერეთში, მაგრამ ტელეკამერები არ დამდევდნენ. ტელევიზიის პრობლემა კიდევ სხვა თემაა. ფაქტია, რომ გამაერთიანებელი ძალა ჯერჯერობით საქართველოში არ ჩანს. ამის დეკლარირება კი ხდება, მაგრამ, არა — განხორციელება, რაც ტირანიას უწყობს ხელს. ხალხში დადის ჭორები, ეს მოსყიდულია, ის გარიგებულია და ა. შ. მარში კარგია, მაგრამ ის არ უნდა იყოს ერთჯერადი აქცია.

***— როგორც გუბაზ სანიკიძემ მიანიშნა, ეროვნული ფორუმი ერთჯერადად გამოსვლას კი არა, არამედ პროცესების ავანგარდში ყოფნას აპირებს.***

— მივესალმები ფორუმის ამ პოზიციას, იყოს პროცესების ავანგარდში. ჩვენ რიგითი ჯარისკაცები ვიქნებით. არაერთხელ მიწევს ამ განცხადების გაკეთება ფორუმთან მიმართებით და უკვე უხერხულობაშიც ვვარდები. კი ბატონო, ფორუმელები ხართ ფორვარდები, წინ ხართ. ჩვენ რიგითი ჯარისკაცები ვართ. წინ თქვენ, უკან ჩვენ, მაგრამ მერე რატომღაც ასე არ ხდება.

***— რაზე მიანიშნებთ, მერე თვითონ ფორუმელები იხევენ უკან?***

— მე არ ვიცი, რა ხდება. თვითონ საზოგადოებამ შეაფასოს. როგორც მახსოვს, წესით, ეგენი დღეს პოლიტიკაში არც უნდა იყვნენ. როგორც მახსოვს, თქვეს: თუ სააკაშვილი ისევ იქნება ხელისუფლებაში, ახალი წლიდან ჩვენ პოლიტიკაში აღარ ვიქნებითო. ამ განცხადებით უამრავი გაზეთი იყო აჭრელებული. შეიძლება, ეს პოლიტიკური ტაქტიკა იყო.

***— როგორ ფიქრობთ, ხალხი გამოვა 27 სექტემბერს? აქციებზე ფორუმელებს ყოველთვის ყველაზე მეტი ხალხი გამოჰყავდათ.***

— მერე, რომ გამოიყვანეს, რა ქნეს? რომ გამოგყავს, ისიც უნდა იცოდე, რა უნდა ქნა. 26 მაისსაც გამოვედით, მერე? ეგენი არც ერთი არ იყვნენ 26-ში აქციაზე. ჩვენ იქ გვხოცავდნენ, გვჩეხდნენ, 9 აპრილი მოგვიწყვეს. ეგენი ტელევიზიით გვიყურებდნენ. ვერ გავიგე, მაშინ ქართველი არ ვიყავი და ახლა ქართველი ვარ? გადავკეთდი და ხაჭაპურიძე ხაჭაპურიანცი გავხდი თუ რა? კი ბატონო, ჩატარდეს ქართველთა მარში. სამწუხაროა, რომ არანაირი გეგმაზომიერი ნაბიჯი არ იდგმება. საერთოდ, ეს არ არის პოლიტიკა. სტადიონზე რომ ამდენი ხალხი შეიკრიბა, შედეგი რა დაიდო? ან 26 მაისს შედეგი რა დაიდო? გადადგა სააკაშვილი ნოემბრის მოვლენების დროს და იმის ნაცვლად, რომ ოპოზიციას კატეგორიულად მოეთხოვა, ნაციონალურ მოძრაობას არ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა და სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე, ყველა გაიქცა და არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. მე, პირადად, სადაც ერთი ქართველი იდგება, იქ ვიდგები. პროტესტის გამოხატვა ტირანიის წინააღმდეგ ყოველდღე უნდა ხდებოდეს.

## მეტროს სადგური „გურამიშვილი“ ავარიულ მდგომარეობაშია

მეტროს სადგური „გურამიშვილი“ ავარიულ მდგომარეობაშია.

მეტროს სადგურში წვიმის დროს წყალი ჟონავს, თუმცა უნალექო დღეებშიც სადგურის კედლები ნესტიანია.

ამას ისიც ემატება, რომ კედლები მნიშვნელოვნადაა დაბზარული.

აღსანიშნავია, რომ მიწისქვეშ არსებული ავარიული მდგომარეობის შემჩნევა მეტროს სადგურის მიწის ზედა საფარზეც თავისუფლადაა შესაძლებელი, რადგან ასფალტიც დანგრეულია.

„პირველი“ ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარისთვის შპს „თბილისის ავტობუსს“ დაუკავშირდა, მაგრამ კომპანიაში მეტროს სადგურის ავარიულობის შესახებ ინფორმაცია არ აღმოაჩნდათ.



— როგორც ჩემთვისაა ცნობილი, უსაფრთხოების მხრივ მეტროს არცერთ სადგურში პრობლემა არ გვაქვს. სადგურები ყოველ ღამე მოწმდება. რაც შეეხება კედლების დანესტიანებას და დაბზარვას, ვერაფერს გეტყვით, საქმის კურსში არ ვარ, თუმცა როგორც ვიცი, უახლოეს მომავალში მეტროს ყველა სადგურის რეაბილიტაცია იგეგმება,— განუცხადეს „პირველს“ კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

ცნობისთვის, მეტროს არცერთ სადგურში მსგავსი მდგომარეობა სადღეისოდ არ არის.

**პირველი**

## სასამართლო ქმრის მკვლელობაში ბრალდებულის საქმის განხილვას იწყებს

დღეიდან თბილისის სააპელაციო სასამართლო იწყებს 15 წლის ელენე ჯავახიას საქმის განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 15 წლის ჯავახია საკუთარი ქმრის, კახაბერ ვალიშვილის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულად სცნო და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ჯავახიას ოჯახის წევრები არ ეთანხმებიან და მათ საქმე სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს.

როგორც „მედიანიუსს“ ბრალდებულის ახლობლებმა განუცხადეს, ელენე ჯავახიას ქმარი განზრახ არ მოუკლავს.

ცნობისთვის: 15 წლის ჯავახიამ ქმარი გასული წლის ოქტომბრის თვეში, ქორწინებიდან ორი კვირის შემდეგ მოკლა. ჯავახია მკვლელობას აღიარებს, თუმცა აცხადებს, რომ მას ქმარი ცუდად ექცეოდა და იმ დანით, რომელიც შემდგომში მკვლელობის იარაღად იქცა, თავდაპირველად, კახაბერ ვალიშვილი სიკვდილით მას ემუქრებოდა. საპირისპიროს ამტკიცებენ ვალიშვილის ოჯახის წევრები და ჯავახიას ბრალს განზრახ მკვლელობაში სდებენ.

ინციდენტი თბილისში, ვალიშვილის საცხოვრებელ ბინაში მოხდა.

ელენე ჯავახია წარმოშობით ფოთიდანაა. მან და მისმა მომავალმა მეუღლემ, ძალოვან სტრუქტურაში მომუშავე კახაბერ ვალიშვილმა ერთმანეთი სოციალური ინტერნეტ-საიტებით გაიცნეს.

**მედიანიუსი**

შედით საიტზე atb.ge



# გურამ ჩახვაძე მეზღვაურების უფლებების დაცვას ითხოვს

შორენა გონგლაძე

მიუხედავად იმისა, რომ ქართველები მუდმივად ვიწონებთ თავს შავი ზღვით და საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობაც პოლიტიკური სპეკულირების საგანიც ხშირად გამხდარა, აღმოჩნდა, რომ ის რაც გვაქვს, ხელისუფლების მხრიდან ჯეროვნად არ ფასდება. საზღვაო სფერომ ხელისუფლების ყურადღება ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმით დაიმსახურა, რომ რისი გაყიდვაც შეიძლებოდა გაიყიდა, გასხვისდა და დაინგრა, ამ ყველაფერზე კი ხელი ერთეულებმა მოითბეს. თუ ასე გაგრძელდა, მალე ალბათ დარგი, რომლის განვითარებაც საღად მოაზროვნე ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო, აღარ იარსებებს. უფრო მეტიც, ქართველი მეზღვაურები ხშირ შემთხვევაში ტრეფიკინგის მსხვერპლიც კი ხდებიან, ეს ყველაფერი კი სწორედ ხელისუფლების უნიათობითა გამოწვეული.

— საქართველო მალე პროფესიონალი კაპიტნებისა და მექანიკოსების გარეშე დარჩება, აქედან გამოსავალი მხოლოდ ერთი გზა არსებობს, პირადად პრეზიდენტი უნდა დაინტერესდეს ამ პრობლემით და მისი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა გატარდეს ყველა ქმედითი ღონისძიება, — ეს განცხადება გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ ჩახვაძემ გააკეთა. ჩახვაძის განცხადებით, საჭიროა საზღვაო კოდექსში რიგი ცვლილებების შეტანა, რათა გამყარდეს თითოეული მეზღვაურის შრომითი და სოციალური უფლებები.

— ჩვენი მთავარი პრობლემა ისაა, რომ ჩვენ ვართ ზღვისპირა ქვეყანა და ამ დროს არ გვაქვს საზღვაო ფლოტი, ეს ყველაფერი კი არის მთავრობის პოლიტიკის შედეგი. ჩვენ გვყავს მეზღვაურები, რომლებიც არ არიან დასაქმებული სრულყოფილად, ვინაიდან ჩვენ გვაქვს ძალიან ცუდი დასაქმების სისტემა. ვინც დასაქმებულია, ისინიც განიცდიან დისკრიმინაციას და ხშირ შემთხვევაში ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლი. ვინაიდან ეს არის ძალიან გაუმჭვირვალე სისტემა, ამიტომ ჩვენი მიზანია, რომ მივმართოთ პრეზიდენტს და ის პირადად დაინტერესდეს ამ საკითხით, ანუ სახელმწიფომ უნდა აიღოს პატრონაჟი ამ სფეროზე. ჩვენ ცვლილებები უნდა შევიტანოთ კანონმდებლობაში საზღვაო კოდექსში, სადაც უნდა გამყარდეს მეზღვაურების შრომითი და სოციალური უფლებები. არის 2006 წლის შრომის საერთაშორისო კონვენ-



ცია, სადაც გაწერილია, თუ როგორ უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო მეზღვაურებზე დასაქმების კუთხით და ასევე აკონტროლებს იმ გემებს, სადაც ჩვენი მოქალაქეები არიან დასაქმებულნი, რამდენად არის მათი უფლებები დაცული. ჩვენ ასევე გვაქვს საშუალება, რომ ჩვენი დროშის ქვეშ მცურავ გემებზე დავასაქმოოთ ჩვენი მეზღვაურები. ამას სჭიროდება კომპლექსური მიდგომა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სამწუხაროდ, ამას მთავრობა არ აკეთებს. სახელმწიფო, რომელიც 2006 წლის კონვენციას უერთდება, იქ იღებს ვალდებულებას, რომ შექმნას თავისი სახელმწიფო დასაქმების სააგენტო და თავად სახელმწიფომ გაუწიოს კონტროლი ამ ყველაფერს. ამ შემთხვევაში დასაქმებული მეზღვაურების გარანტი არის სახელმწიფო, ასევე ამ კონვენციით კერძო კომპანიები, რომლებიც მოქალაქეების დასაქმებას უზრუნველყოფენ, ამასაც უნდა გაუწიოს სახელმწიფომ კონტროლი, რამდენად არის დაცული მეზღვაურის შრომითი და სოციალური უფლებები, — აცხადებს გურამ ჩახვაძე.

ავთანდილ კალანდაძე, მეზღვაური:

— იმის მიუხედავად, რომ ქართველი მეზღვაურები სხვა ქვეყნის მეზღვაურებს არც შრომით, არც განათლებით არ ჩამოუვარდებიან თუ არ ჯობნიან კიდეც, დღეს გვაქვს ასეთი სურათი, რომ არა მხოლოდ მოქმედ მეზღვაურთა 80 პროცენტია უმუშევარი, არამედ ის ახალგაზრდებიც, რომლებიც ამთავრებენ სახელმწიფო საზღვაო აკადემიას. თუ გაუმართლა ვინმეს და ნორმალურ კერძო კომპანიაში მოხვდა და დასაქმდა, მაგრამ არა იმ გარანტიით, რომ ისინი გახდებიან კაპიტნები. ჩვენ შეგვიძლია შემდგომში გვყავდეს ჩვენი ფლოტი, მაგრამ დღეს ისე მიდის სიტუაცია, რომ შემდეგ ჩვენვე გვექნება მოსაძებნი კაპიტნები და უფროსი მექანიკოსები, ვინაიდან ჩვენი მეზღვაურები არ იზრდებიან. ხოლო ის მეზღვაურები, რომლებიც ვერ იწყებენ მუშაობას ნორმალურ კერძო კომპანიებში, ეძებენ სამუშაოებს არარეგისტრირებულ კომპანიებში. ხშირად ისინი ტყვეობაში და ხანაც ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდებიან.

***— რა კრიტერიუმით ხდება ნორმალურ კომპანიებში მეზღვაურების დასაქმება, ხომ არ არის ისე, რომ ქართველ მეზღვაურებს გაცილებით ნაკლები შანსი აქვთ?***

-პრობლემა ისაა, რომ ჩვენი სერთიფიკატები მოხვდა შავ სიაში, რადგანაც ევროკავშირის არც ერთი რეკომენდაცია არ გვაქვს შესრულებული, ამიტომ ჩვენი სერთიფიკატები შეიყვანეს შავ სიაში, ამით იზარალეს მეზღვაურებმა. მაგრამ დღეს საზღვაო სააგენტოში მიდის სამუშაოები, რომ ჩვენი სერთიფიკატები ევროპულმა ქვეყნებმა აღიარონ, მაგრამ ამას მეზღვაურთა დასაქმებასთან პირდაპირი მნიშვნელობა არა აქვს. იმიტომ, რომ საზღვაო სანაოსნოს დაარსებიდან დღემდე, არასდროს ქართველ მეზღვაურებს ევროპის დროშის ქვეშ არ უცურავთ და იმ დროშის ქვეშ, რომელშიც მუშაობდნენ, დღეს საზღვაო სისტემაში არ არსებობს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებული იყოს და ზრუნავდეს მეზღვაურთა დასაქმებაზე. არ მაქვს მხედველობაში ის პატარა კერძო კომპანიები, რომლებსაც აყავთ მეზღვაურები, კაპიტნები, უფროსი მექანიკოსები, მაგრამ მასობრივად უმუშევრები არიან უმცროსი მექანიკოსები, უმცროსი შტურმანები. თუკი ჩვენ მსოფლიოს არ დავანახეთ ჩვენი შესაძლებლობები, რომელ აღიარებაზეა ლაპარაკი?! მე დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის ქვეყნებიდან აღიარება კარგა ხანს არ მოხდება.

***— ამ სიტუაციიდან გამოსავალს რას ხედავთ, რას სთავაზობთ ხელისუფლებას?***

— მე ალტერნატიული გზები არაერთხელ შევთავაზე სახელმწიფოს, არ დამიტოვებია არც ერთი ინსტანცია, რომლისთვისაც არ მიმემართოს, მაგრამ დავრწმუნდი, რომ საქართველოს პრეზიდენტის ჩარევის გარეშე ვერავინ ვერაფერს ვერ გააკეთებს. ამიტომაც ჩვენ მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, რომ პირადი კონტროლის ქვეშ აიყვანოს ეს საკითხი. მე ვთავაზობ ალტერნატიულ გზებს, თუკი კერძო კომპანიებს შეუძლიათ ევროპის კომპანიებზე გასვლა, ხომ შეიძლება, რომ მთავრობამ გამოყოს სამუშაო ჯგუფი, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებებს საერთაშორისო დონეზე, ჩაიდოს ინვესტიციები საზღვაო დარგში, დავაინტერესოთ უცხოელები ჩვენი რესურსებით და ასე შემდეგ.

# თინა ხიდაშელი მერიას უპირისპირდება

ნათია ხურცილავა

თინა ხიდაშელი „მზიურის“ ტერიტორიაზე დაგეგმილ მშენებლობას აპროტესტებს. თბილისის საკრებულოს წევრი აცხადებს, რომ ახლახან დედაქალაქის მერიამ „მზიურის“ შესახებ პრეზენტაცია გამართა.

თუმცა, ხიდაშელი აცხადებს, რომ მერიის მიერ გამართულ პრეზენტაციაზე არავის დაუკონკრეტებია, რა ფართობზე შენარჩუნდება სარეკრეაციო ზონა.

საკრებულოს რესპუბლიკელმა წევრმა თინა ხიდაშელმა ასევე განაცხადა, რომ პრეზენტაციამდე, მიმდინარე წლის 25 აგვისტოს, თბილისის არქიტექტურის სამსახურმა პარკის ტერიტორიაზე მშენებლობის დაწყების ნებართვა გასცა.

როგორც თინა ხიდაშელი აღნიშნავს, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში „მზიურის“ პარკის ტერიტორიაზე რაიმე სახის მშენებლობის ნებართვა არ გაცემულა.

თინა ხიდაშელი მერიისაგან პასუხს ითხოვს კითხვაზე — რა ტერიტორიას მოიცავდა პარკი მისი შექმნის დროს, რამდენ ფართობზე დარჩა ამჟამად გაუჩეხავი ტყე-პარკი და რამდენ ფართობზე იქნება გაშენებული მომავალში სარეკრეაციო ზონა.

საკრებულოს რესპუბლიკელი წევრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, მშენებლობის ნებართვა გაიცა ვინმე ვართანოვაზე, პროექტის სამშენებლო მოცულობა შეადგენს 6 ათასამდე კუბურ მეტრს, მშენებლობა კი 500-მდე კვადრატული მეტრის ფართობს დაიკავებს.

თინა ხიდაშელის მიერ „მზიურის“ პარკში დაგეგმილი მშენებლობის გაპროტესტებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას თბილისის მერია გამოეხმაურა.

თბილისის მერიის პრესსპიკერი ბაჩო დოლიძე თინა ხიდაშელს მეტი კომპეტენტურობისაკენ მოუწოდებს.

ბაჩო დოლიძე აცხადებს, რომ ის ფართობი, რომელიც ჰქონდა „მზიურს“, შენარჩუნებულია.

მერიაში ამ საკითხზე ოპოზიციონერი დეპუტატის მიერ სპეკულაცია არასწორად მიაჩნიათ.

— ყველა თემაზე სპეკულაცია სწორი არ იქნება, მით უმეტეს იმ თემებზე, რომლებზეც ჩვენს კოლეგებს კომპეტენცია არ აქვთ. ეს არის რეკრეაციული ზონა, შესაბამისად, ვერანაირ მშენებლობაზე ნებართვის გაცემა რეკრეაციული ფართობის ზონაში ვერ მოხდება. მერიისა და კერძო სექტორის ინიციატივით მოხერხდა ის, რომ „მზიურისთვის“ დაგვებრუნებინა სარეკრეაციო სტატუსი, რომელიც მას ადრეც ჰქონდა, — განაცხადა დოლიძემ.

მისი თქმით, დაგეგმილია მხოლოდ რეკრეაციული ფუნქციის მქონე ობიექტების მშენებლობა, მათ შორის ფიტნესკლუბისა და ოლიმპიური სტანდარტების ღია და დახურულ აუზებზე.



— რაც შეეხება ქალბატონი თინას განცხადებას, რომ „მზიურის“ ტერიტორიაზე მშენებლობა უკანონოდ მიმდინარეობს, აბსოლუტური ტყუილია. ეს არის მშენებლობა „მზიურის“ რეკრეაციული ტერიტორიის გარეთ. „მზიური“ მალე იქნება ისეთი რეკრეაციული ზონა, რომლითაც თითოეული თბილისელი იამაყებს, — აღნიშნა ბაჩო დოლიძემ.

## ქდმ ბუნებრივი აირის მაღალ ტარიფს აპროტესტებს



„ქრისტიან-დემოკრატები“ თელავში ბუნებრივი აირის მაღალ ტარიფს აპროტესტებენ. ამის შესახებ გუშინ მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდრმა ნიკოლოზ ლალიაშვილმა და თელავის შუალედური საპარლამენტო არჩევნების მაჟორიტარობის კანდიდატმა ნიკო ლაშხმა განაცხადაეს.

— ერთი კუბური მეტრი გაზი თელავში 53 თეთრი ღირს, რაც გაცილებით ძვირი ფასია მეზობელ რაიონებთან შედარებით. ადგილოვრივი მოსახლეობისთვის და ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარია ტარიფის სიძვირე. აქედან გამომდინარე ჩვენ გეგმავთ, როგორც მარეგულირებელი კომისიის ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წინაშე დისტრიბუტორი კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, — განაცხადა ნიკო ლაშხმა.

მედიანიუსი

## რუსეთში მცხოვრებმა ქართველებმა ლოტოს გათამაშებაში 4 მილიონი რუბლი მოიგეს

რუსეთის ქალაქ სამარაში მცხოვრებმა ქართველებმა, ოლეგ და ნატალია ხასანიებმა ადგილობრივი ლოტოს გათამაშება „გოსლოტოში“ 4 მილიონი რუბლი მოიგეს. ოლეგ ხასანია მოგებული ფულით ზუგდიდში გარდაცვლილი დედის სახელზე სამლოცველოს აშენებას აპირებს.

—როგორც კი მოვიგეთ, მაშინვე გადავწყვიტეთ, თუ რაში დაგვეხარჯა ეს ფული, —განაცხადა მან. ხასანიების განცხადებით, ისინი ლოტოში უკვე დიდი ხანია ერთ და იგივე ციფრებით თამაშობენ და საკმაოდ წარმატებულადაც. რამდენიმე წლის წინ მათ ლოტოში ავტომობილი და 50-60 რუბლი რამდენჯერმე მოიგეს.

მათი თქმით, ისინი ლოტოს თამაშს მომავალშიც გააგრძელებენ და უკვე გადაწყვეტილიც აქვთ, თუ რაში დახარჯავენ შემდგომში მოგებულ ჯეკ-პოტს.ხასანიები დიდი ხანია რაც სამარაში ცხოვრობენ.

მედიანიუსი

## კრწანისის ნაწილს ელექტრომომარაგება შეეზღუდება

კრწანისის რაიონის ნაწილს დღეს, 10:00 საათიდან 14:00 საათამდე ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება.

„თელასის“ ინფორმაციით, ელექტროენერგიის დროებით შეზღუდვის მიზეზი ქვესადგურში „ნავთლუღი 220“ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ დაგეგმილი სამუშაოებია. ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება ზემო და ქვემო ფონიჭალის, გეოლოგების დასახლების, რუსთავის გზატკეცილის, ჟორდანიას, მარნეულის, ღოღობერიძის და სურგულაძის ქუჩების მაცხოვრებლებს. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგება.

ინტერპრესნიუსი

## „სამშობლოს“ შენობაში „სითი ლოფტი“ 9 მლნ აშშ დოლარს გადაიხდის



გამომცემლობა “სამშობლოს“ შენობაში კომპანია „სითი ლოფტი“ 9 მლნ აშშ დოლარს გადაიხდის. „სამშობლოს“ შენობის გასხვისების შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განცხადებას ავრცელებს.

შპს „სითი ლოფტს“ საპრივატიზებო პირობებად განესაზღვრა საპრივატიზებო თანხის გადახდა 2011 წლის პირველ დეკემბრამდე. აგრეთვე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება და ამ მიზნით 10 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება.

„სამშობლოს“ შენობის პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისება მთავრობამ რამდენჯერმე ჩაშლილი აუქციონის შემდეგ გადაწყიტა. ბოლო აუქციონზე ობიექტი 16 200 000 ლარად იყო გამოტანილი.

სამეწარმეო რეესტრის ოფიციალური ინფორმაციით, კომპანია „სითი ლოფტი“ 2011 წლის 8 სექტემბერს დაფუძნდა. რეესტრში კომპანიის დაფუძნებაზე განმცხადებელია ევგენი დავითაია, წარმომდგენილი კი დავით ოყროშიძე.

ინტერპრესნიუსი

## გორის ბიბლიოთეკას ლიტვის დელეგაცია სტუმრობდა

გორის საჯარო ბიბლიოთეკას გუშინ ლიტვის ქალაქ შილუტეს ბიბლიოთეკის დელეგაცია სტუმრობდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გორის მუნიციპალიტეტის პრესსამსახურიდან აცნობეს, სტუმრებს გორელ ბიბლიოთეკარებთან ერთად ქალაქის საზოგადო მოღვაწეები შეხვდნენ. ლიტველმა და ქართველმა კოლეგებმა ერთმანეთს საბიბლიოთეკო სფეროში მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს.

გორისა და შილუტეს ბიბლიოთეკებს 1974 წლიდან აკავშირებთ მეგობრული ურთიერთობა. წლების განმავლობაში ორივე ქალაქის ბიბლიოთეკარებს შორის აქტიურად იმართებოდა პროფესიული, კულტურული და გაცვლითი კონფერენციები. მას შემდეგ, რაც საქართველომ და ლიტვამ დამოუკიდებლობა მიიღეს, გორელი და შილუტელი კოლეგები ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. დღევანდელი შეხვედრის ერთ-ერთ მთავარ მიზანს, ძველი მეგობრული კავშირების განახლება წარმოადგენს„,-განაცხადეს ლიტველმა ბიბლიოთეკარებმა.

შეხვედრაზე მოეწყო აღნიშნული ისტორიული მეგობრობის ამსახველი მასალების პრეზენტაციაც. გარდა ამისა, ქართველმა და ლიტველმა ბიბლიოთეკარებმა სამომავლო ურთიერთობის გეგმების შესახებაც ისაუბრეს.

შეხვედრა ხაშურის ცენტრალური ბიბლიოთეკის ინიციატივითა და საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო.

ინტერპრესნიუსი

# პოლონეთის სახელმწიფო არქივის დელეგაცია თბილისშია

ეკა ირემაშვილი

პოლონეთის სახელმწიფო არქივის დელეგაცია საქართველოში ჩამოვიდა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს ეწვია. დელეგაციის წევრები — პოლონეთის სახელმწიფო არქივის დირექტორის მოადგილე ბარბარა ბერსკა და ვარშავის სახელმწიფო არქივის დირექტორი რიშარდ ვოიტოვსკი ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორ თეონა იაშვილს შეხვდნენ.

საქართველოსა და პოლონეთის ეროვნულ არქივებს შორის თანამშრომლობა 2008 წელს მემორანდუმის გაფორმებით დაიწყო. მას შემდეგ მხარეებმა არაერთი ერთობლივი პროექტი განახორციელეს. 2009 წელს ეროვნულ არქივში გაიხსნა გამოფენა „პოლონელები საქართველოში", ხოლო 2010 წელს ერთობლივი გამოფენა ვარშავაში გაიხსნა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა.

— ჩვენი პოლონელი კოლეგების ვიზიტის ერთ-ერთი მიზანია საქართველოსა და პოლონეთის ეროვნული არქივების მიერ ორგანიზებულ გამოფენაში — „ოთხი საუკუნე — ოთხი პანორამა" მონაწილეობა. აქ წარმოდგენილი იქნება ვარშავის XVII-XX საუკუნეების სქემები, ნახაზები და ფოტოები, რომლებიც ოთხი საუკუნის განმავლობაში პოლონეთის დედაქალაქის არქიტექტურულ ცვლილებებს ასახავს, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას თეონა იაშვილმა.

დღევანდელ შეხვედრაზე მხარეებმა გამოფენასთან დაკავშირებული ბოლო დეტალები დააზუსტეს, ასევე ისაუბრეს სამომავლო გეგმებსა და ერთობლივ პროექტებზე.

— მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი დედაქალაქის ოთხი საუკუნის ისტორიის ამსახველი ექსპონატები თბილისში იქნება გამოფენილი. დამთვალიერებელს შეუძლია იხილოს, როგორი იყო ვარშავა მეორე მსოფლიო ომამდე, ქალაქის დანგრევამდე. იმედი გვაქვს, მომავალ წელს ვარშავაში თბილისის ისტორიული ფოტოების გამოფენას ვუმასპინძლებთ, — განაცხადა ვარშავის სახელმწიფო არქივის დირექტორმა რიშარდ ვოიტოვსკიმ.

უახლოეს მომავალში, საქართველოში პოლონეთის საელჩოსა და პოლონეთის სახელმწიფო არქივის ინიციატივით, 2010 წელს ვარშავაში წარმოდგენილი საგამოფენო ექსპონატები ამჯერად უკვე საქართველოში გამოიფინება.

პოლონეთის სახელმწიფო არქივის დელეგაციის 5-დღიანი ვიზიტი კი ეროვნულ არქივში 24 სექტემბერს დასრულდება.

# მშვიდობის დღეს საქართველოს მოსახლეობაც შეუერთდება

გაერო-ს მიერ აღიარებულ მშვიდობის დღეს საქართველოს მოსახლეობაც შეუერთდება. მშვიდობის დღე 21 სექტემბერს მთელ მსოფლიოში აღინიშნება.

ამ დღესთან დაკავშირებით, „ინვალიდ-მეომართა და დაღუპულ მებრძოლთა მეუღლეთა" კავშირის თავმჯდომარე მანანა მებუკე 21 სექტემბერს, 14.00 საათზე, გორში, სასტუმრო „ვიქტორიაში" პრეს-კონფერენციას გამართავს და საქართველოს მოსახლებას თხოვნით მიმართავს, 22:00 საათზე მშვიდობისათვის სახლში ერთი სანთელი აანთონ.

მშვიდობის საერთაშორისო დღე გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ 1981 წელს დაარსდა. „პატივი მივაგოთ და გავაძლიეროთ იდეები მშვიდობის შესახებ მსოფლიოში", ეს იყო დღესასწაულის დაარსების იდეა და მიზანი.

ოცი წლის შემდეგ კი, გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ სპეციალური რეზოლუცია მიიღო და ამით გამოაცხადა 21 სექტემბერი, როგორც ყოველწლიური დღესასწაული "გლობალური ცეცხლის შეწყვეტისა და არაძალადობისათვის".

მშვიდობის საერთაშორისო დღის საბოლოო აღიარება ბრიტანელი მსახიობისა და რეჟისორის ჯერემი გილეს დამსახურებაა, მისი პროექტი „ერთ დღესაც იქნება მშვიდობა", წარმოადგენს ფილმს, რომელიც მრავალ ქვეყანაშია გადაღებული და მასში ასახულია რეჟისორის მოგზაურობა და მისი შეხვედრები ადამიანებთან, რომელთაც უნდათ მშვიდობა და რომელთაც თავის თავზე გამოსცადეს ომის საშინელება.

**ინტერპრესნიუსი**

# ავღანეთში ექს-პრეზიდენტი ბურხანუდდინ რაბბანი მოკლეს

ავღანეთში ექს-პრეზიდენტი ბურხანუდდინ რაბბანი მოკლეს. ქაბულში, ექს-პრეზიდენტის სახლში ძლიერი აფეთქება სავარაუდოდ, ტერორისტმა-თვითმკვლელმა განახორციელა.

რაბბანთან ერთად სახლში ავღანეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის ხამიდ კარზაის მრჩეველი მასუმ სტანეკზაიც იმყოფებოდა, რომელიც მძიმედ დაიჭრა.

ბურხანუდდინ რაბბანი ავღანეთს ფორმალურად 1992 წლის ივნისიდან 2001 წლის დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა. მთელი მისი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. პრეზიდენტის თანამდებობაზე იგი ხამიდ კარზაიმ შეცვალა. ბოლო წლებში იგი დაზავების უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობდა.

**პირველი**

# თბილისის ზოგიერთ ქუჩას ხვალ წყალმომარაგება შეეზღუდება

თბილისის ზოგიერთ ქუჩას დღეს წყალმომარაგება შეეზღუდება. როგორც „პირჭელს" კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერიდან" აცნობეს, სამგორის საფილტრო სადგურში საპროფილაქტიკო სამუშაოების ჩატარების მიზნით წყალმომარაგება ჭიჭინაძის, ქიზიყის, ჟორესის, კაიროს, გუმათჰესის, ცისკარიშვილის, ქინძმარაულის, მარელისის, ფონიჭალის, ჭირნახულის, ხომლელისა და მიმდებარე ქუჩებს შეუწყდებათ.

წყლის შეზღუდვა ასევე წმინდა ბარბარეს, ვარკეთილის მეურნეობის, საქნავთის, აეროპორტის, ალექსეევკის, ორხევისა და თეთრიხევის დასახლებებს, კახეთის გზატკეცილსა და აეროდრომის დასახლების ქუჩებს, ვარკეთილის მასივის ზემო პლატოსა და სადგურ „ველს", გაჩიანს, ახტაკლიასა და კარაკლიას შეეხებათ.

**პირველი**

# ვინ ვერ მიიღებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას

ნანა მიშელაშვილი



**ირაკლი ოქრუაშვილი და ალექსანდრე ებრალიძე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ამ შეზღუდვას მათ ახალი კოდექსი დაუწესებთ.**

**ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტის მიხედვით, პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდა.**

არც ოქრუაშვილს და არც ებრალიძეს ბოლო სამი წელი საქართველოში არ უცხოვრიათ, ამდენად, ისინი საპრეზიდენტო კანდიდატებად ვერ დარეგისტრირდებიან. არადა, როგორც ერთს, ისე მეორეს საპრეზიდენტო ამბიცია აქვს და ეს არც დაუმალავთ.

ირაკლი ოქრუაშვილი ამჟამად პარიზში იმყოფება და პოლიტიკური თავშესაფარი აქვს მიღებული, ხოლო ებრალიძე კრემლთან დაახლოებული პირია, რომელიც შიგადაშიგ საქართველოში სხვადასხვა ღონისძიებებს მართავს და აფინანსებს.

ებრალიძისა და ოქრუაშვილის მსგავსად, ყველა ის პირი, რომელიც 2013 წლისთვის საქართველოში ბოლო სამი წლის განმავლობაში არ ცხოვრობდა, საპრეზიდენტო კანდიდატად ვერ დასახელდება.

პარლამენტში უკვე ინიცირებულია ახალი საარჩევნო კოდექსი, რომლის თანახმადაც, პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე.

პარლამენტის წევრად ნებისმიერი ადამიანი შეიძლება აირჩეს 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლისა და ქართული ენა იცის. პარლამენტის წევრი ვერ გახდება ნარკომანი ან ნარკოტიკის მომხმარებელი, ხოლო თუ ასეთი პირი შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს ცნოს მისი უფლებამოსილება.

ამ არჩევნების დროს სიახლეა ისიც, რომ გარკვეულ პოლიტიკოსებსა და პარტიებს გაუმართლებთ და საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრასთან ერთად 1 მილიონ ლარსაც მიიღებენ.

საარჩევნო კამპანიის დროს პარტიებს ყველაზე მეტად დაფინანსების საკითხი აინტერესებთ. დაფინანსება კი საკმაოდ სოლიდურია და 1 მილიონს შეადგენს.

პარტიები ერთ შემთხვევაში მიიღებენ ნანატრ 1 მილიონ ლარს, კერძოდ, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებისას გადალახავს 5%-იან საარჩევნო ბარიერს, ერთჯერადად მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 000 000 ლარს. მათ შორის, 300 000 ლარს მიზნობრივად წინასაარჩევნო სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დასაფარად.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან საარჩევნო კამპანიის ფონდის დაფინანსების მიზნით შესაბამისმა საარჩევნო სუბიექტმა წერილობით უნდა მიმართოს ცესკოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 38 დღისა.

საარჩევნო კამპანიის ფონდში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ფინანსური შემოწირულებები მიიღება უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულების მეშვეობით. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ერთი ფიზიკური პირის მიერ განხორციელებულ შენატანებზე, თუ მათი ოდენობა არ აღემატება 300 ლარს. ამასთანავე, დაუშვებელია სხვის სახელით შემოწირულების განხორციელება. ანონიმური შემოწირულებები დაუყოვნებლივ გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

პარტიის, საარჩევნო ბლოკის და პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო კამპანიის ფონდებში მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულებების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს: თითოეული ფიზიკური პირისაგან, მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისაგან 60 000 ლარს; თითოეული იურიდიული პირისაგან — 200 000 ლარს.

პარლამენტის წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს წევრობის კანდიდატის საარჩევნო კამპანიის ფონდებში მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულებების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს: თითოეული ფიზიკური პირისაგან — 20 000 ლარს; თითოეული იურიდიული პირისაგან — 60 000 ლარს.

დაუშვებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნების დროს საარჩევნო კამპანიის ფონდის სახსრების გარდა სხვა სახსრების გამოყენება.

ახალი საარჩევნო კოდექსის განხილვა პარლამენტში მას შემდეგ დაიწყება, რაც ვენეციის კომისიის ექსპერტები პროექტთან დაკავშირებით დასკვნას დადებენ. ვენეციის კომისიის ექსპერტები საქართველოს ოქტომბრის დასაწყისში ეწვევიან.

# გიზო ნიშნიანიძე გარდაიცვალა

ეკა ირემაშვილი




**ქართველი მწერალი გიზო ნიშნიანიძე 73 წლის ასაკში საჩხერეში, ნათესავის ოჯახში გარდაიცვალა. იგი ახლობლების გარემოცვაში საკუთარ ლექსს ამბობდა, როდესაც მოულოდნელად ცუდად გახდა და გულის შეტევით გარდაიცვალა. მწერლის ცხედარი თბილისში უკვე გადმოასვენეს.**

საქართველოს მწერალთა კავშირი გიზო ნიშნიანიძის სამოქალაქო პანაშვიდების, დაკრძალვის ადგილისა და თარილის შესახებ ინფორმაციას უახლოეს პერიოდში გაავრცელებს. სავარაუდოდ, მწერალს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალავენ.

გიზო ნიშნიანიძემ თავისი მოღვაწეობის პერიოდში არაერთი ღირებული ნაწარმოები შექმნა. მისი ავტორობით უამრავი პუბლიცისტური ნაწარმოები გამოიცა. მათ შორის აღსანიშნავია ქართული კონიაკის ფუძემდებლის, დავით სარაჯიშვილის ბიოგრაფიული კრებული და წიგნი „პაემანი ვერაზე". სწორედ ამ წიგნისა და ქართულ სამწერლობო ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის მწერალს ფილარმონიის წინ 2010 წელს ვარსკვლავი გაუხსნეს. ეს იყო პირველი ვარსკვლავი, რომლის მფლობელიც მწერალი გახდა. „გიზო ნიშნიანიძე — პაემანი ვერაზე" — ასე ჰქვია ვარსკვლავს, რომელიც ძველი თაობის კოლორიტებს ეძღვნებათ. ეს დღესასწაული 30-წლიანი პაუზის შემდეგ მწერალმა აღადგინა. „პაემანი ვერაზე" თავის დროზე ქართველ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მასში ქართული კულტურის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ჩართული. აღდგენილ პროექტში გიზო ნიშნიანიძემ თბილისელების სამი თაობა შეკრიბა.

გიზო ნიშნიანიძე საპატიო თბილისელი იყო. ის თბილისის კოლორიტად არის მიჩნეული. მწერალი ვერაზე, ზემელზე დაიბადა და გაიზარდა. როგორც თავად ამბობდა, ბავშვობაში ის და მისი ძმაკაცები „იძულებით კაცები" იყვნენ, კაცობაში კი საკუთარი ნებით ბავშვებად დარჩნენ.

გიზო ნიშნიანიძეს ხშირად უთქვამს, რომ ბედნიერია, თბილისის ომის დროს მისი თანამემამულისთვის ნასროლი ტყვია მასაც რომ მოხვდა. ამ ტყვიას ის სხეულით დაატარებდა.

როგორც თავად აღნიშნავდა, მისი ცხოვრება ვერისუბანი იყო, თავისი სილამაზით, კოლორიტულობითა და კოლორიტებით. პოეტმა ლექსების წერა 53 წლის ასაკში დაიწყო. მან ლექსების საშუალებით შეძლო საყვარელი ქალაქის ხასიათის გადმოცემა. პოეტი და მწერალი ჟურნალისტებთან საუბარში ხშირად აღნიშნავდა:

— ერთხელ იმ დონემდეც კი მივედი, რომ თვითმკვლელობა ვცადე, მაგრამ ლექსმა მიშველა. პოეტს ლექსებს ხომ ღმერთი გაწერინებს, ჰოდა, მეც ღმერთმა დამაწერინა და გადამარჩინა. მაშინ მივხვდი, რომ ცხოვრება იმის უფლებასაც კი არ გვაძლევს, რომ საკუთარი სიცოცხლე განვკარგოთ. ყველაფერი უფლის ნებაა და ჩვენც მის ნებას უნდა დავემორჩილოთ, — ამბობდა მწერალი გიზო ნიშნიანიძე.

მასზე ამბობდნენ, იოსებ ნონეშვილის შემდეგ თბილისსა და თბილისელებს ისე არავინ მოფერებია, როგორც მწერალი გიზო ნიშნიანიძეო. თავად ამბობდა, იოსებ ნონეშვილმა მაქცია კალმისკაცადო. მან თავის თაობას ძეგლი აუგო საკუთარი ნაწარმოებების სახით.

— ხშირად მიფიქრია, ნეტა, ცხოვრება ისე იყოს მოწყობილი, ცუდით იწყებოდეს და კარგით მთავრდებოდეს-მეთქი. სიკვდილი ბოლო საიდუმლოა. არც ის ვიცით, საიდან მოვდივართ და არც ის — საით მივდივართ. ალბათ, რასაც დავიმსახურებთ, მეორე სოფელიც ისე მიგვიღებს. ვინც სიტყვა „წუთისოფელი" მოიგონა, ყველაზე მოკლე რომანის ყველაზე დიდ რომანისტად მიმაჩნია. მადლობელი ვარ უფლის, რომ მაქვს იმის ნიჭი, წერილობით გავიმეორო ჩემი ცხოვრება. ამის საშუალებას ხომ სხვა პროფესია არ მოგცემს. ასე მგონია, ლექსს ღმერთი წერს, მერე ნაკუწნაკუწ აქცევს და თოვლის ფანტელებად გვაყრის. ჩვენ, უბრალოდ, ღვთის პირველი მსმენელები ვართ. ყველა ადამიანი თავად არის ეკლესია. ეკლესიის გუმბათი ადამიანის თავია, ხოლო ადამიანის გული და სული ეკლესიაა თავისი ხატებით. ღმერთი არის შთაგონება, სიყვარული, აზროვნება და რწმენა. რამდენიმე ეკლესიის მსახურს ასეთი შეკითხვა დავუსვი: რატომ არ ითვლება სიტყვის მსახურება ღვთის მსახურებად-მეთქი? მაშინ, როდესაც იოანეს სახარების მიხედვით, „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი". ღმერთმა რაც ამ ქვეყანაზე არსებობა განმისაზღვრა, მინდა, ტკბილად გავატარო მეგობრობასა და ძმობაში. დღემდე დახარბებული ვარ ცხოვრებას, — აღნიშნავდა მწერალი.

სიცოცხლის ბოლო პერიოდში მწერალი თავისი ცხოვრების საფინალო ნაშრომზე მუშაობდა, რომელიც ოთხ წიგნად იყო ჩაფიქრებული. მორის ფოცხიშვილი ტყუილად კი არ წერდა, რომ გიზო ნიშნიანიძემ ბეწვის ხიდზე გაიარა, მაგრამ ხომ გაიარა, ასეთი რამ თბილისზე ყველა ჩვენგანს ცალ-ცალკე უნდა დაეწერა ან ყველას ერთად და ამ შემთხვევაში გიზოს გაუღიმა ბედმაო.

# ეროვნულმა მუზეუმმა მონაკოს პრინცი დააჯილდოვა

ეკა ირემაშვილი

**მონაკოს პრინცმა ალბერ II-მ საქართველოში ოფიციალური ვიზიტი დაასრულა, თუმცა მანამდე ჩვენი ქვეყნის რეგიონები დაათვალიერა, პრეზიდენტის ვენახში ყურძენი დაკრიფა, დმანისში ჩავიდა და ეროვნულ მუზეუმში უძველესი და უნიკალური ქართული საგანძური დაათვალიერა.**

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ექსკლუზიურად მონაკოს პრინცისთვის გაიხსნა ის საცავი, სადაც 1.800.000 წლის წინანდელი თავის ქალები და პალეონტოლოგიური ნიმუშებია დაცული. მუზეუმში ალბერ II-ს მეგზურობას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე უწევდნენ. მონარქმა ეროვნული მუზეუმის შთაბეჭდილებების წიგნში ჩანაწერი დატოვა და მუზეუმის ხელმძღვანელს ორდენი გადასცა. თავად ალბერ II-მ მუზეუმისგან საჩუქრად 1.800.000 ათასი წლის წინანდელი ნაშთები და სუვენირები მიიღო.

— მონაკოს პრინცი პირადად ჩავიდა დმანისში და ის ადგილები მოინახულა, სადაც ზეზვასა და მზიას თავის ქალები იქნა აღმოჩენილი. მისი ინტერესების სფერო არის ადამიანის პალეონტოლოგია. ჩვენ დიდი ხნის კონტაქტები გვაქვს მის ფონდთან და მასთან პირადად. მოხარული ვარ, რომ მან ჩვენი უნიკალური საგანძური პირადად გაიცნო, — განაცხადა ჟურნალისტებთან ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელმა დავით ლორთქიფანიძემ.

მონაკოს პრინცი საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში არქეოლოგიური საგანძურის ექსპოზიციას ეწვია. 2003 წლის 1 სექტემბერს პარიზში ადამიანის პალეონტოლოგიის ინსტიტუტში გაიმართა საზეიმო ცერემონიალი, რომელზეც მონაკოს პრინცმა პრეისტორიულ მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ქართველი პალეოანთროპოლოგი დავით ლორთქიფანიძე მონაკოს მონარქის პრიზით დაჯილდოვა. პარიზის ადამიანის პალეონტოლოგიის ინსტიტუტი დაარსებულია 1920 წელს მონაკოს მონარქის ალბერ I-ის მიერ და დღეს ადამიანის წარმოშობის კვლევის უდიდეს ცენტრს წარმოადგენს ევროპაში.

მონაკოს პრინცმა ალბერ II-მ სვანეთში დაცული სიწმინდეები დაათვალიერა, გაეცნო ქართულ კულტურას, ბათუმში ახლად გახსნილ მუსიკისა და ხელოვნების ცენტრში სპეციალურად მისთვის გათამაშდა დავით დოიაშვილის მიერ დადგმული მიუზიკლი „ქეთო და კოტე“. მიუზიკლის ნახვის შემდეგ კი მონაკოს პრინცმა ღამის ბათუმი დაათვალიერა.

ალბერ II საქართველოს 19 სექტემბერს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში მონარქმა ბაკურიანში პატივი მიაგო ტრაგიკულად დაღუპული ქართველი ოლიმპიელის ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნას და მის ოჯახს მონაკოს უდიდესი ჯილდო, საგვარეულო მედალი გადასცა. პრინცმა სამახსოვრო წიგნში ჩანაწერიც დატოვა. მან ყვარელში, პრეზიდენტის ვენახში რთველში მიიღო მონაწილეობა. მონაკოს პრინცმა მიხეილ სააკაშვილთან ერთად საწნახელში ყურძენიც დაწურა. პრინცი რთველითა და ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიით დაინტერესდა. მონარქი თბილისში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა ოფისისა და ოლიმპიური მუზეუმის გახსნასაც დაესწრო. ვიზიტის პირველ დღეს პრინცი მესტიაში ჩავიდა და იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დაათვალიერა. ალბერ II-ს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პირადად მასპინძლობდა.




მონაკოს პრინცმა საქართველო თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან დატოვა. აეროპორტში მისვლამდე ალბერ II-მ ძველი თბილისი დაათვალიერა. ის ნარიყალას თბილისის მერთან, გიგი უგულავასთან ერთად ესტუმრა და განახლებული კალაუბანი დაათვალიერა. პრინცმა თბილისთან დაკავშირებით კომენტარიც გააკეთა და აღნიშნა, რომ თბილისმა მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ალბერ II საფრანგეთში საქართველოს ელჩმა მამუკა კუდავამ და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ გააცილეს. გამგზავრებამდე ალბერ II-მ მამუკა კუდავასა და ხათუნა კალმახელიძეს საჩუქრები გადასცა.

ეროვნულმა მუზეუმმა მონაკოს პრინცის მასპინძლობამდე ქვევრის ღვინის ისტორიას გამოფენა მიუძღვნა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში ქვევრის ღვინის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმიც ჩატარდა.

— საქართველო, როგორც უძველესი ღვინის კულტურის მქონე ქვეყანა, კულტურული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიამ ასახვა ჰპოვა საქართველოს მატერიალურ და სულიერ კულტურაში (არქეოლოგია, ეთნოგრაფია, მითოლოგია, კულტი, ხელოვნება, ფოლკლორი). საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შემოინახა ღვინის დაწურვის, შენახვისა და მოხმარების არქაული წესები, რაც მეღვინეობის სხვა ცენტრებში დაკარგულია, ამიტომ ეს სიმპოზიუმიც და გამოფენაც ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია, — განაცხადა დავით ლორთქიფანიძემ.

გამოფენაზე, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმი და ასოციაცია „ქართული ღვინო“, წარმოდგენილი იყო მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცული ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის II ნახევრიდან ძვ.წ. IV საუკუნის ჩათვლით დათარიღებული სამეურნეო იარაღები — ბარი, თოხი, სასხლავი, სარცხი, ორშიმო. ყურძნის საწური და ღვინის შესანახი ჭურჭელი — საწნახელი, საქაჯავი, თაღარი, ჭური, ქვევრი, ქოცო, სუფრის საღვინე ჭურჭელი და სასმისები — ხელადა, ფიალა, თასი, ჯამი, ჭინჭილა, კულა, მარანი, ყანწი. თითოეულ ხსენებულ არტეფაქტს ხანგრძლივი და უწყვეტი ტრადიცია აქვს საქართველოში.

სხვადასხვა სიმპოზიუმისა და გამოფენის პარალელურად, საქართველოს ეროვნული მუზეუმი ახალ საგანმანათლებლო პროექტზე მუშაობს. ეს პროექტი ბავშვებსა და მოზარდებს ხატვის ნიჭის აღმოჩენაში დაეხმარება. პროექტი სახელწოდებით „მე, მხატვარი“, საქართველოში პირველად ჩატარდება და ფართომასშტაბიანი იქნება. მასში ჩართული იქნებიან ბავშვები და უფროსები. პროექტში მონაწილეები დახატავენ თავიანთი წარმოსახვიდან რამეს, ნამუშევრები კი ბავშვთა ეროვნულ გალერეაში გამოიფინება.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში საგანმანათლებლო პროექტები 2005 წლიდან ხორციელდება. მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი 2008 წლის ომში დაღუპული ბავშვებისთვის მოეწყო, რომელშიც 50 მოზარდი იყო ჩართული.

# მოლდოვაში სპექტაკლი ქართულ ენაზე დაიდგა

ეკა ირემაშვილი

მოლდოვას რესპუბლიკაში, ნაციონალურ თეატრ „მიხაი მეინესკუს“ მცირე დარბაზში საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის რევაზ შატაკიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლის პრემიერა გაიმართა. ქართველმა ხელოვანმა კიშინიოვის მუსიკის, თეატრისა და სახვითი ხელოვნების აკადემიის სტუდენტებთან ერთად განახორციელა ფერნანდო არაბალის „პიკნიკი ბრძოლის ველზე“.

— თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა რევაზ შატაკიშვილმა სამაგისტრო სპექტაკლით (ტენესი უილიამსის „მინის სამხეცე“) მიმდინარე წლის აპრილში მონაწილეობა მიიღო კიშინიოვის მუსიკის, თეატრისა და სახვითი ხელოვნების აკადემიის მიერ ორგანიზებულ თეატრალური სკოლების საერთაშორისო ფესტივალში „კლას-ფესტი“. სწორედ ამ ფესტივალის მიმდინარეობისას დაიბადა იდეა, განხორციელებულიყო ერთობლივი პროექტი. რევაზ შატაკიშვილის ინიციატივას, დაედგა მოლდოველ მსახიობებთან სპექტაკლი ქართულ და რუმინულ ენებზე, ინტერესით გამოეხმაურნენ როგორც კიშინიოვის მუსიკის, თეატრისა და სახვითი ხელოვნების აკადემიის სტუდენტები, ასევე ამ აკადემიის ხელმძღვანელობა. რევაზ შატაკიშვილის მიერ ინიცირებულ პროექტს მხარი დაუჭირა მისმა უშუალო პედაგოგმა (სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა), შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი მარგველაშვილმა, — განაცხადა თეატრისა და კინოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ჯაბა სიხარულიძემ.

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით მიმდინარე წლის ივლისში რევაზ შატაკიშვილი გაემგზავრა კიშინიოვში აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად. ორთვიანი მუშაობის შედეგი კი მოლდოვას მაყურებელმა უკვე იხილა. კიშინიოვის მუსიკის, თეატრისა და სახვითი ხელოვნების აკადემიის თეატრმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელის, პროფესორ ანჯელინა როშკას, მოლდოვას რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს რეკომენდაციით, ქართულ-მოლდოვური სპექტაკლის პრემიერა შედგა მოლდოვას რესპუბლიკის ნაციონალურ თეატრ „მიხაი ემინესკუს“ მცირე დარბაზში. მოლდოვას რესპუბლიკის ნაციონალური თეატრი დირექტორ იონ გროსუს გადაწყვეტილებით გახდა პროექტის პარტნიორი და საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის მიერ განხორციელებული დადგმა ჩასმულ იქნა ნაციონალური თეატრის მიმდინარე რეპერტუარში.

— სპექტაკლში მონაწილეობენ ნაციონალური თეატრის მსახიობები ანა ტკაჩენკო, ნიკუ ცურკანუ, თეატრ „სატირიკუსის“ მსახიობი ედუარდ ჩერნატი (ნიკუ ცურკანუ და ედუარდ ჩერნატი, ამასთანავე, არიან აკადემიის მაგისტრანტები. მათ წელს დაამთავრეს აკადემიის ბაკალავრიატი), ასევე ახლად კურსდამთავრებული ინა კოლბასიუკი და აკადემიის დიპლომანტი სერჯიუ კირიაკი. სპექტაკლზე შემოქმედებითი ჯგუფი 2 თვის მანძილზე მუშაობდა. ამ მუშაობის შედეგად ისინი სპექტაკლს თამაშობენ ქართულ და რუმინულ ენაზე, — ამბობს ჯაბა სიხარულიძე.

ფერნანდო არაბალის პიესას „პიკნიკი ბრძოლის ველზე“ მოლდოველი მსახიობები სრულად თამაშობენ ქართულ ენაზე და მხოლოდ ამის შემდეგ იმავე წარმოდგენას — რუმინულ ენაზე. თეატრისა და კინოს სახელწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი რევაზ შატაკიშვილი 25 სექტემბერს გაემგზავრება მინსკში და მონაწილეობას მიიღებს მინსკის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში „ოქროს კუფარი“ მის მიერ განხორციელებული დადგმით — ტენესი უილიამსის „მინის სამხეცით“.

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრში განხორციელებულმა ამ სპექტაკლმა უკვე მიიღო მონაწილეობა კიშინიოვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, ამ ზაფხულს კი გაიმარჯვა მინსკის საერთაშორისო ფესტივალის შესარჩევ ტურში და მსოფლიოს 16 ქვეყნის თეატრთან ერთად მიიღებს მონაწილეობას.


## განცხადებები

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● იყიდება ლზნ-58მ მარკის მოდერნიზებული 12 კალიბრის ორლულიანი სანადირო თოფი და ავტომობილი „ნივა“ კარგ სამუშაო მდგომარეობაში. ტელ: 599-932-732. მის: თბილისი, ყაზბეგის გამზ.№24. ირაკლი.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავლისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# მომავალ ევრობასკეტზე მოსახვედრი გზა გაიოლდა

დასრულდა 2011 წლის ევრობასკეტი და ქართველი გულშემატკივრის ფირები უკვე 2 წლის შემდეგ ჩასატარებელ ევროპის ჩემპიონატს დასტრიალებს. საამისო მიზეზიც ნამდვილად აქვთ — იგორ კოკოშკოვის გუნდს ლიტვაში თავი ნამდვილად არ შეურცხვენია და ქომაგებს იმედი აქვს, რომ მომავალ ჩემპიონატზე უკვე გამოცდილების მქონე ნაკრები უკეთეს შედეგს აჩვენებს. ჩვენ უკვე ვწერდით, თუ როგორი ფორმატით ჩატარდება 2013 წლის კონტინენტის პირველობა და ახლა უფრო დაწვრილებით გვინდა გითხრათ, თუ რა შანსები აქვს ჩვენს ნაკრებს.

ფიბა-ევროპას მიერ გამოქვეყნებული სლოვენიაში 2013 წელს გასამართი ევრობასკეტისა და შესარჩევი ეტაპის სქემა ასეთია. ფინალურ ტურნირზე 24 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, პირველ ეტაპზე ნაკრებები ოთხ ჯგუფად განაწილდება, საიდანაც სამ-სამი საუკეთესო მეორე ტურში გადავა, შეიკვრება ორი ექვსგუნდიანი ჯგუფი და ოთხ-ოთხი გამორჩეული მეოთხედფინალს ითამაშებს. ეს კი, სწორედ ისეთი სისტემაა, როგორიც ლიტვაში ახლახან დასრულებულ ევრობასკეტზე.

რაც შეეხება 2012 წელს გასამართ შესარჩევ ტურნირს. ფიბა-ევროპის საიტზე გამოქვეყნებულ სქემაში წერია: შეიქმნება 6 ხუთგუნდიანი ჯგუფი, საიდანაც ევროპის ჩემპიონატის საგზურს საუკეთესო პირველ-მეორეადგილოსნები და ოთხი მესამეადგილოსანი მოიპოვებს. შესაბამისად, სლოვენიაში საქართველოს ნაკრების მოხვედრის შანსი დიდია. თუმცა, საბოლოოდ არ გარკვეულა ტურნირში 30 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, მეტი თუ ნაკლები.

საქმე ისაა, რომ შარშან მეორე დივიზიონში არ უთამაშიათ დანიას, ირლანდიას, ისლანდიასა და კიდევ რამდენიმე ნაკრებს. შესაძლოა, მათ ევრო-2013-ის შესარჩევზე თამაში მოისურვონ. თუ განაცხადი 30-ზე მეტმა ნაკრებმა შეიტანა, ასეთ შემთხვევაში დამატებითი საკვალიფიკაციო ჩატარდება თუ არა, ჯერ უცნობია. ფაქტი ერთია, შესარჩევ ეტაპზე ჯგუფში ხუთზე მეტი გუნდი არ იქნება, რადგან ასეთ შემთხვევაში მატჩების რაოდენობა გაიზრდება.

დამატებული გუნდები ქართველებს ნაკლებად გვაღელვებს, რადგან ისინი ბოლო კალათში მოთავსდებიან. ჩვენ კი, პირველად ისტორიაში, წილისყრის წინ პირველ კალათაში ვიქნებით. აი, რატომ: ევრობასკეტი 2013-ის შესარჩევში 8 წამყვანი ევროპული გუნდი არ მიიღებს მონაწილეობას - ოლიმპიადის მასპინძელი ბრიტანეთი, ევრო-2011-ის ფინალისტები ესპანეთი, საფრანგეთი, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირის მონაწილეები — რუსეთი, მაკედონია, ლიტვა, საბერძნეთი და მომავალი ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი სლოვენია.

დანარჩენი გუნდები, ევროპის ჩემპიონატის მონაწილენი თუ მეორე დივიზიონის წარმომადგენლები ჯგუფებში განაწილდებიან და 2010 წელს 14 საგზურს გაითამაშებენ. როგორც უკვე გითხარით, საქართველოს ნაკრები წილისყრისთვის პირველ კალათში განთავსდება. ამის თქმა დღესვე თამამად შეგვიძლია, რადგან ფიბა-ევროპა გუნდებს ბოლო შეჯიბრებების მიხედვით ახარისხებს და ეს ვერსია მართალია, ფიბა-ევროპას ოფიციალურად არ დაუკონკრეტებია, მაგრამ სხვადასხვა სპორტულმა საიტებმა ივარაუდეს, რომ ასე იქნება.

**I კალათა:** სერბეთი, გერმანია, ფინეთი, თურქეთი, საქართველო, ხორვატია.

**II კალათა:** ბულგარეთი, ისრაელი, უკრაინა, პოლონეთი, ბოსნია, იტალია.

**III კალათა:** ჩერნოგორია, ლატვია, ბელგია, პორტუგალია, უნგრეთი, შვედეთი.

**IV კალათა:** ჩეხეთი, ესტონეთი, ჰოლანდია, ავსტრია, შვეიცარია, აზერბაიჯანი.

**V კალათა:** სლოვაკეთი, ბელარუსი, რუმინეთი, კვიპროსი, ლუქსემბურგი, ალბანეთი.

ცხადია, პირველ კალათაში განთესილი გუნდები ერთმანეთს არ შეხვდებიან, დანარჩენი გუნდები კი სადღეისოდ იმ ძალას არ განეკუთვნებიან, რომ ჩვენს ნაკრებს პირველ-მეორე ადგილი ჩამოართვან.

# ვიქტორ სანიკიძეს „რეალს" უწინასწარმეტყველებენ


ვიქტორ სანიკიძე

ევრობასკეტის დასრულების შემდეგ ვიქტორ სანიკიძე ბოლონიის „ვირტუსს" შეუერთდა და გუნდთან ერთად ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. ბოლონიელებს შემადგენლობა ჩამოყალიბებული აქვთ, მაგრამ სანამ ნბა-ში ლოკაუტია, იქაური ვარსკვლავების გადაბირება სურთ.

„ვირტუსის" ხელმძღვანელი კლაუდიო საბატინი ორ გვარს ასახელებს და ამბობს, ამ კალათბურთელებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, რათა ამერიკაში ლოკაუტის დასრულებამდე ჩვენი გუნდის რიგებში ითამაშონო. პირველია „სან ანტონიო სპურსის" არგენტინელი ვარსკვლავი მანუ ჯინობილი. შეგახსენებთ, რომ იგი ოკეანის გაღმა სწორედ „ვირტუსიდან" წავიდა. მეორე კი სუპერვარსკვლავი, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი კობი ბრაიანტია, რომელსაც „ვირტუსის" გარდა არაერთი ევროპული გუნდი ეპატიჟება.

ცხადია, მათ გვერდით თამაში სანიკიძისთვის დიდი პლუსია, მაგრამ შესაძლოა, არ მოუწიოს. არა იმიტომ, რომ ამ კალათბურთელების დაყოლიება ვერ მოუხერხდეს ბოლონიური კლუბის ხელმძღვანელობას, არამედ იმიტომ, რომ თავად სანიკიძემ შესაძლოა, „ვირტუსი" დატოვოს.

საქმე ის არის, რომ ევროპული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ჩვენებურით დაინტერესება მადრიდის „რეალს" გამოუთქვამს. შეგახსენებთ, რომ მადრიდული კლუბის ინტერესზე 2010 წელსაც დაიწერა, მაგრამ მაშინ ეს ტრანსფერი არ შედგა. ამჯერად რამდენად სერიოზულია „სამეფო კლუბის" ქართველისადმი ინტერესი, მალე გამოჩნდება.

# სოხუმი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა

საკალათბურთო კლუბი „სოხუმი" გამალებით ემზადება ახალი სეზონისთვის. როგორც უკვე იცით, გუნდი ჯერ ევროჩელენჯის გათამაშებაში ჩაერთვება, შემდეგ კი საქართველოს ჩემპიონატში.

სოხუმელები ლიტვა-ლატვიაში გადიან შეკრებას და ლიეპაიში გამართულ ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავეს. ფინალში „სოხუმი" უკრაინულ „დნიპროს" შეხვდა. მატჩი დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და უკრაინელთა გამარჯვებით დასრულდა — 99:88. ასე რომ, "სოხუმმა" მისთვის პირველი საერთაშორისო ტურნირი მეორე ადგილზე დაასრულა, რაც ახალშეკრებილი გუნდისთვის ურიგო შედეგი არ არის.

ტურნირის ორგკომიტეტმა საუკეთესო კალათბურთელად ლაშა ფარღალავა დაასახელა. მან ფინალში 15 ქულა მიითვალა. ეფექტური სტატისტიკა ჰქონდა ახალგაზრდა ირაკლი ჩლაიძეს, რომელმაც 5-დან 5 სამქულიანი გამოიყენა და 19 ქულას მოუყარა თავი.

21-□21 ქულით კი საუკეთესო მაჩვენებლები ბრენდონ გეის და პიერ პირსს ჰქონდა. პირსს საერთოდ 1 პასი დააკლდა ორმაგ დუბლამდე.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ქართული კლასიკოს მოლოდინში

## ტორპედო — დინამო



თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობენ გუნდები, რომლებიც ერთმანეთისთვის დაუძინებელ მტრებად ითვლებიან. ამ ყველაფერს კი წინ ისტორია და ამბიცია უძღვის.

ჩვენ ჩემპიონატში ასეთად თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" დაპირისპირებაა მიჩნეული. ალბათ ტყუილადაც კი არ შეარქვეს მათ ჯახს ქართული ელ კლასიკო.

დღეს კი ეს გუნდები ერთმანეთს გადადებულ მატჩში ქუთაისში შეხვდებიან და გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართული საფეხბურთო სამყარო ამ მატჩის მოლოდინშია. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ როგორ ფორმაში ხვდება მატჩს — ნებისმიერ შემთხვევაში მოსალოდნელია უშეღავათო ბრძოლა.

ფორმაში ყოფნა ტყუილად არ გვიხსენებია — „ტორპედოს" ამ ეტაპზე აშკარად უჭირს, თუმცა ასე იყო გასულ სეზონშიც, მაგრამ 4 გამართულ მატჩში გუნდებმა თითო მოგება გაცვალეს, ხოლო ორჯერ ფრე ითამაშეს.

ამ გუნდების ჯახი 1962 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. პირველი მატჩი 25 მაისს თბილისში გაიმართა და 0:0 დასრულდა, იმავე წელს კი პირველი გამარჯვება ქუთაისში „დინამომ" მოიპოვა — 3:1.

„მტრობას" კი სათავე 1964 წელს ჩაეყარა — ქუთაისში გამარჯვების შემთხვევაში „დინამო" ჩემპიონის ოქროს მედლებს ფაქტიურად ინაღდებდა, „ტორპედო" კი უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებდა...

როგორც ამბობენ, ამ შეხვედრის წინ ქუთაისურ გუნდს მოსთხოვეს დინამოსთვის გზა დაეთმოთ და შეხვედრა წაეგოთ... საბოლოოდ შეხვედრა ფრედ 1-1 დასრულდა. ამ ფაქტმა განაწყენებული უფრო თბილისელები დატოვა, რადგან ქართულ გუნდს შეეძლო პირველად გამხდარიყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ კი ორივე გუნდს გადათამაშებაში მოხვედრა მოუწია. საბედნიეროდ, —დინამომ" 4:1 მოუგო მოსკოვის „ტორპედოს" და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ხოლო ქუთაისლებმა 4:2 გორკის გუნდს და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს. თუმცა, მტრობა, მტრობად დარჩა.

სსრკ-ს ეგიდით (თასის ჩათვლით) გუნდები ერთმანეთს 28□ჯერ შეხვდნენ. აქედან 14 გამარჯვება დინამოელთა მხარეს არის, 10 მატჩი ფრედ დასრულდა, ხოლო 4 მათგანში გამარჯვებას „ტორპედომ" მიაღწია. ცხადია, ბურთების შეფარდებაც დედაქალაქელთა მხარეს არის — 42:24.

1990 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც კი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ტარდება, „დინამოს" უპირატესობა ისეთი შთამბეჭდავი აღარ არის. „ტორპედო" იყო პირველი, რომელმაც დინამოს 10-წლიანი ჰეგემონია დაამხო და ჩემპიონის ოქროს მედლები წაართვა. ზემოთ ნახსენები მტრობა კი კიდევ უფრო გაიზარდა და ყოფილა შემთხვევები, როდესაც დაძაბულობა მოედანზეც ყოფილა და ტრიბუნებზეც.

ყველაზე საინტერესო ჯახი 2002 წელს შედგა — ბოლო ტურის შეხვედრის წინ „ტორპედო" ერთი ქულით უსწრებდა „დინამოს" და მატჩში გამარჯვებული ჩემპიონი ხდებოდა, ხოლო თუ გუნდები ფრედ ითამაშებდნენ, ოქროს მედალს სულაც თბილისის „ლოკომოტივი" მოიპოვებდა. თანაბარ ბრძოლაში ქუთაისლებმა მალხაზ ასათიანის გატანილი პენალტის წყალობით იმარჯვეს — 1-0.

1990 წლის მერე გუნდები ეროვნულ ჩემპიონატში, თასსა თუ სუპერთასზე 54-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, 28-ჯერ „დინამომ" იმარჯვა, 13 ფრედ დასრულდა, ხოლო 13 „ტორპედომ" მოიგო. ბურთების სხვაობა 92:48 დინამოელთა სასარგებლოდ.

მომავალ მატჩს კი ორივე გუნდი სხვადასხვა ფორმაში მყოფი ხვდება. მიმდინარე სეზონში „დინამომ" კარგი შთაბეჭდილება ჯერ ევროპის ლიგაზე დატოვა, სადაც ჯგუფურ ეტაპამდე სულ ცოტა დააკლდა და ბერძნულ აეკთან მხოლოდ დამატებით დროში დამარცხდა. თავს არც ეროვნულ ჩემპიონატში ირცხვენს და 5 მატჩის შემდეგ 13 ქულით პირველ ადგილზეა. ეს 6 ტურში, რადგან დღევანდელი თამაში, როგორც გითხარით, გადადებული იყო.

„ტორპედოს" კი ასევე 5 თამაშიდან მხოლოდ 2 აქვს მოგებული და 3-ში დამარცხდა. ამ ყველაფერმა კი გუნდში მწვრთნელის შეცვლა გამოიწვია. კიკნაძე-ზამთარაძის დუეტმა ქუთაისი დატოვა და მათ ნაცვლად 1 ოქტომბრიდან რიონისპირელებს გია გეგუჩაძე გაწვრთნის, რომელიც ქართველ ქომაგებს ზესტაფონიდან (იქაურების გარდა) კარგად ახსოვთ.

და 1 ოქტომბრამდე? დღეს „ტორპედოს" სათამაშოდ დუბლშემადგენლობის მწვრთნელი გიორგი სუხიაშვილი და გუნდის ყოფილი ფეხბურთელი კახა ჩხეტიანი მოამზადებენ.

ქართულ კლასიკოდ წოდებული დაპირისპირების წინ „დინამოს" კაპიტანმა, ალექსანდრე კოშკაძემ მომავალ თამაშზე ისაუბრა, რომელსაც თავის დროზე ქუთაისის „ტორპედოში" თამაშის გამოცდილება აქვს.

**ალექსანდრე კოშკაძე:**

— „ტორპედოსთან" ყოველთვის დაძაბული და რთული თამაში არის, როგორც ფეხბურთელებისთვის, ასევე გულშემატკივართათვის. „დინამოსა" და „ტორპედოს" მონაწილეობით კარგი თამაშები გამოდის. უგოლოდ ფაქტობრივად არც ერთი შეხვედრა არ სრულდება, თუ არ ჩავთვლით გამონაკლის მატჩებს. იმედი მაქვს, ქუთაისში სტადიონი გაივსება და ჩვენი ერთგული გულშემატკივრებიც დაესწრებიან თამაშს. დიდი იმედი მაქვს, რომ კლასიკო შედგება! როდესაც „ტორპედოში" ვთამაშობდი, ყოველი შეხვედრის წინ ჩვეულებრივი შემართებით ვემზადებოდით. განსაკუთრებული მზადება და მონდომება კი, რაღა თქმა უნდა, „დინამოს" წინააღმდეგ გასამართ შეხვედრებს სდევდა თან. მოახლოებული შეხვედრისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდით და იყო შემთხვევები „დინამოსთან" მოპოვებული ქულაც „ტორპედოს" აქტივში ჩაგვითვლია. განახლებულ სეზონში ჯერჯერობით „ტორპედოს" თამაში არ მინახავს, ერთი ის ვიცი, რომ ქუთაისს კარგი გუნდი ჰყავს და ძალიან მაგარი თამაშის მოლოდინში ვარ. მეტოქე გუნდის რიგებიდან ბოლქვაძეს, მეგრელაძეს და გოცირიძეს გამოვარჩევდი — მათ საკმაო გამოცდილება აქვთ და ვფიქრობ, მთავარ ხიფათს სწორედ მათგან უნდა ველოდოთ. მეტოქე ყველა რგოლში კარგი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მოგება გვმართებს. ქუთაისში მოსაგებად ჩავდივართ... რამდენად გამოგვივა ეს ყველაფერი, ამას უშუალოდ თამაში გვიჩვენებს. ის ატმოსფერო, რაც ქუთაისში სტადიონზე სუფევს „დინამოსთან" დაპირისპირებისას არანაირად არ მოქმედებს ჩვენზე უარყოფითად. როდესაც მოედანზე გავდივართ, მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობთ ყველანი. სავსე ტრიბუნების წინ გამარჯვებას კი სულ სხვა ხიბლი აქვს.

## ზესტაფონი — დილა

კიდევ ერთი გამოტოვებული მატჩი დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე გაიმართება. ცხადია, ამ მატჩში ფავორიტი იმერლები არიან, თუმცა ამ გუნდს სწორედ აუტსაიდერებად შერაცხულ გუნდებთან უფრო შეუძლიათ სიურპრიზები.

ისე, განწირულ აუტსაიდერს ვერც გორელებს დავარქმევთ, რადგან ეს გუნდი აშკარად კარგად თამაშობს და რამდენიმე მატჩში უიღბლობის გამო თუ დამარცხდა. ასე იყო სტუმრად „ვიტ ჯორჯიასთან" (3:4) და შინ „დინამოსთან" (1:2). ორჯერვე გორელები ბოლო წამებზე გაშვებული გოლებით დამარცხდნენ. კიდევ ერთი მარცხი შინ "ტორპედოსთან" მოახერხეს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით — მატჩიც მათი უპირატესობით მიმდინარეობდა და მოედანზე ტაიმნახევარი მეტობაში გაატარეს, მაგრამ...

მოკლედ, დღეს იმერეთში მართლაც საინტერესო ბრძოლები გველის, რომლის ეპიცენტრი ქუთაისშია.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 5 | 4 | 1 | 0 | 11:4 | 13 |
| 2.ბაია | 6 | 4 | 0 | 2 | 10:4 | 12 |
| 3.ზესტაფონი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:6 | 11 |
| 4.მეტალურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:2 | 11 |
| 5.გაგრა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| 7.მერანი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| 8.ტორპედო | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| 9.კოლხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| 10.დილა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | 4 |
| 11.სპარტაკი | 6 | 0 | 3 | 3 | 7:9 | 3 |
| 12.სიონი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | 2 |

**ბომბარდირები:**

დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) — 4 ბურთი; ლუკა გუგუჩია (ბაია), შალვა კვანტალიანი (გაგრა), გიორგი მანწკავა (მერანი), ჩისკო (დინამო), რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) — 3□3.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**იტალია. სერია ბ**

ტორინო-ბრეშა ... 0:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-ზანკტ პაული ... 0:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მონაკო-არლე ... 1:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

გიმარაეში-ბრაგა ... 1:1
რიუ ავე-სპორტინგი ... 2:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბეშიქთაში-ანკარაგიუჯიუ ... 3:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბანიკი-სპარტა ... 0:2

**პოლონეთი ექსტრაკლასა**

ვისლა-ბელხატოვი ... 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-ოდენსე ... 4:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-დიურგარდენი ... 0:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

რუსენბორგი-სტარტი ... 4:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰაკა-მარიეჰამნი ... 1:1

**ირლანდია. თასი**

სლიგო-შემროკი ... 1:0

**რაგბი**

**მსოფლიო თასი**

იტალია-რუსეთი ... 53:17

**ჩოგბურთი**

**ვტა. სეული. ჰარდი**

სუარეს ნავარო-ბირნეროვა ... 6:4;6:4
ბეგუ-ამანმურადოვა ... 6:1;6:3
ჰერცოგი-კუცოვა ... 6:0;6:2
სკიავონე-დუშევინა ... 6:7;2:6
გერგესი-სემა ... 6:1;6:1
პლიშკოვა-როტმანი ... 6:1;7:5
ბარტოლი-ლიაგოსტერა ვივასი ... 6:2;6:2
მარტინეს სანჩესი-ფალკონი ... 6:3;6:3

შედით საიტზე atb.ge

## დღის კალენდარი

### 21 სექტემბრისთვის



წლის 264-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 101 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

მე-15 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. ოთხშაბათი

**დიდუბობა. გელათობა. შუამთობა. ბეთანიობა. წმიდათა აღმსარებელთა იოანესი (მაისურაძე, 1957) და გიორგი-იოანესი (მხეიძე 1962).**

შობა ყოვლადწმიდა დიდებული დედოფლისა ჩვენისა და მარადის ქალწულის ღვთისმშობელ მარიამისა. ღვთისმშობლობა.

ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა. მისი მშობლები იყვნენ მართალი იოაკიმე, რომელიც წინასწარმეტყველ დავით მეფის გვარის ჩამომავალი იყო, და ანნა პირველმღვდელმთავარ აარონის შთამომავალი. ეს ღვთისმოშიში მეუღლენი უშვილონი იყვნენ. ასე მიაღწიეს მათ ხანდაზმულ ასაკს, მაგრამ არასოდეს არ ჰკარგავდნენ იმედს, რომ ღმერთი გაანთავისუფლებდა მათ უშვილობისაგან. წმიდანები ევედრებოდნენ ღმერთს შვილს და აღთქმას დებდნენ, რომ მას მიუძღვნიდნენ ახლადშობილს ტაძარში მსახურებისათვის.

უფალმა შეისმინა მათი ვედრება და მაშინ უბოძა ასული, როცა მართალი მეუღლეები სათნო და წმიდა ცხოვრებით ღირსნი გახდნენ მაღალი წოდებისა ყოფილიყვნენ მშობლები ყოვლადწმიდა ქალწულისა, უფალ იესო ქრისტეს მომავალი დედისა. წმიდა მეუღლეებს ყოვლადკურთხეული ასული მარიამი შეეძინათ.

ყოვლად უბიწო მარიამი იმ დროს იშვა, როცა ადამიანები თავიანთ ზნეობრივ დაცემაში უკიდურეს ზღვრამდე ივნენ მისულნი და მათი აღორძინება შეუძლებელი ჩანდა. საუკეთესო მოაზროვნენი აღიარებდნენ, რომ ღმერთი აუცილებლად უნდა მოვლენოდა ქვეყანას და საუკუნო დაღუპვისაგან ეხსნა თავისი ქმნილება ადამიანი. შობა ყოვლადწმიდა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულის მარიამისა წმიდა ეკლესიის მიერ იდღესასწაულება, როგორც დღე საყოველთაო-საკაცობრიო სიხარულისა. ამ უნათლეს დღეს, ძველი და ახალი აღთქმების მიჯნაზე, იშვა ყოვლად კურთხეული ქალწული მარიამი, რომელსაც, ღვთის განგებით, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა განესაზღვრა უდიდესი ღვთაებრივი საიდუმლოსათვის ემსახურა — განეხორციელებინა ღმერთი სიტყვითა და ყოფილიყო დედა ქვეყნის მაცხოვრის, უფლისა ჩვენის იესო ქრისტესი.

**დაიბადნენ:**

1415 — ფრიდრიხ III, გერმანიის მეფე. გარდაიცვალა 1493 წელს.

1866 — ჰერბერტ უელსი, ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1946 წელს.

1887 — იოველ ქუთათელაძე, ქართველი ფარმაკოქიმიკოსი, საქართველოში უმაღლესი ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის და ფარმაკო-ქიმიის მეცნიერების ფუძემდებელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. გარდაიცვალა 1963 წელს.

1900 — სევერიან მაისაშვილი, ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი. გარდაიცვალა 1980 წელს.

1914 — კიტა ბუაჩიძე, ქართველი დრამატურგი.

**გარდაიცვალნენ:**

1972 — კალენიკე აბულაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

1832 — ვალტერ სკოტი, შოტლანდიელი მწერალი.

1973 — გუსტავ VI ადოლფი, შვეციის მეფე.

**მოვლენები:**

1380 — მოხდა კულიკოვოს ბრძოლა.

1931 — იაპონიის ჯარებმა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის — მანჯურიის ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინეს.

1938 — ნიუ-იორკისა და ახალი ინგლისის დასახლებებში ძლიერი ქარიშხლის შედეგად 600-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

1961 — ანტონიო აბერტონდომ ინგლისის არხი (ორივე მიმართულებით) 24 საათსა და 25 წუთში გადაცურა.

1964 — მალტამ ინგლისისაგან დამოუკიდებლობა მიიღო.

1996 — კუმბერვენდის კუნძულზე ჯონ კენედი კაროლინ ბესეტზე დაქორწინდა.

1999 — პოლონეთისა და ბელორუსის საზღვარზე მოხდა დასავლეთ ევროპის ორი გაზსადენის „იამალის„ შეერთება.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

მშვიდობის საერთაშორისო დღე.

სომხეთი — დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით გამართული რეფერენდუმის დღე.

ბელიზი — დამოუკიდებლობის დღე.

მალტა — დამოუკიდებლობის დღე.

არგენტინა — სტუდენტთა დღე

რუსეთი — კულიკოვოს ველზე რუსული ჯარების მიერ თათარ-მონღოლთა დამარცხების დღე.

**მედიანიუსი**

## პროფკავშირები გაფიცული მუშების დარბევის საკითხს დიპკორპუსს გააცნობს

შ.პ.ს. ევრაზიანსთილსის„ ქუთაისის მეტალურგიულ ქარხანა ჰერკულესის„ თანამშრომელთა გაფიცვის დაშლასა და გაფიცულებზე განხორციელებულ რეპრესიებთან დაკავშირებულ საკითხებს, პროფკავშირები საქართველოში აკრედიტებულ დიპკორპუსს გააცნობს.

შეხვედრა დღეს, სასტუმრო „ამბასადორში“ გაიმართება.

დეტალურ ინფორმაციას, ქუთაისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, შეხვედრაზე საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე, ირაკლი პეტრიაშვილი წარადგენს.

სამართლებრივ შეფასებს ამ მოვლენებს კი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე მისცემს.

**პრაიმ-ნიუსი**

# აფხაზეთში დარჩენილი ქართველები საფრთხეში არიან



აფხაზეთი

გულიკო ბალა ე

**აფხაზეთში გამალებული გარუსების პოლიტიკა ტარდება. მსგავსი პროცესი აფხაზეთში ახლა არ დაწყებულა. რუსეთი დიდი ხანია, რაც აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისა თუ აფსუების გარუსებისა და გადაჯიშების პროგრამით მოქმედებს.**

**ქართველების გარუსება და მათი გონებიდან ქართული ცნობიერების წაშლაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რაც 29 წელია აფხაზეთში ტრიალებს. ამ პროცესის შედეგად გააფხაზებულ-გადარუსებული ქართველები დღევანდელი აფხაზების 790-ს შეადგენენ.**

ქართველი პოლიტიკოსები თუ ისტორიკოსები ამბობენ, რომ მნიშვნელობა არა აქვს, ადამიანი წარმოშობით ვინ არის, მთავარია, ის რა ცნობირებისაა. კი, მაგრამ, ამ თუ იმ ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესი ხომ წამიერი არ არის. ამიტომ ადამიანების გადაგვარების პროცესი გარკვეულ პრობლემებს ქმნის სახელმწიფოში.

დღესდღეობით, აფხაზეთში დარჩენილი ქართველები საფრთხეში არიან, რადგან მათზე დიდი ზეწოლა ხორციელდება.

როგორც საზოგადოებას მოეხსენება, აფხაზეთში ბოლო დროს ჩატარებულ ე.წ. არჩევნებში ანქვაბმა გაიმარჯვა.

დღეს ძნელია საუბარი ანქვაბზე, როგორც ქართველზე (მექვაბიშვილზე) მისი ცნობიერების გამო. მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს, ქართული წამოშობისაა თუ არა, მთავარია, რად მიიჩნევს თავს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ქართული სახელმწიფო რატომაა ვალდებული, ისინი აღიაროს და რაღაც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები შეუქმნას თავის ტერიტორიაზე?

დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, გალის რაიონში ათობით ათასი ქართველი ცხოვრობს და იგივე ბედი ელით, თუ გარუსების პოლიტიკა გაგრძელდა და დროულად არ ვუშველეთ.

როგორც ჩანს, გალის ქართველობა ოკუპაციის პირობებში ეწინააღმდეგება გარუსების პროცესს.

გალში მცხოვრები დაახლოებით 45-50 ათასი ქართველიდან 7 ათასს თუ აქვს აფხაზური და რუსული პასპორტები.

უპარტიოთა მოძრაობის გალის კოორდინატორი (ვისაც, გარკვეული მიზეზების გამო, გაზეთის ფურცლებზე მისი გვარის ხსენება არ სურს), რომელიც არაოფიციალურ დაკვირვებას ახდენდა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე, აცხადებს, რომ ოკუპაციის პირობებში ჩატარებულ ე.წ. არჩევნებზე გალის ქართველების ძალიან მცირე რაოდენობა მივიდა.

უპარტიოთა მოძრაობის წარმომადგენელი არაოფიციალურად აკვირდებოდა ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს, რომ მოეპოვებინა სეპარატისტული და რუსული პროპაგანდისაგან განსხვავებული, ანუ ობიექტური ინფორმაცია.

ადგილობრივი და რუსული პროპაგანდა ამბობდა, რომ აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები იყო დემოკრატიული. აქეთაც არიან ისეთები, რომლებიც ამბობენ, რომ ის არჩევნები დემოკრატიული იყო.

უპარტიოთა მოძრაობის წარმომადგენლის თქმით, სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც ბოლო პერიოდში აფხაზეთში ჩატარებულ არჩევნებს დემოკრატიულს უწოდებენ, მაგრამ ყველაზე ობიექტური ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის თვით გალში მცხოვრებ ადამიანებს შეუძლიათ.ადგილზე ადამიანები ხედავდნენ, როგორ ტარდებოდა არჩევნები.

უპარტიოთა მოძრაობის კოორდინატორის თქმით, გალის მოსახლეობის 5%-საც არ მიუღია არჩევნებში მონაწილეობა.

იმ მოსახლეობიდან, რომელსაც ხმის უფლება ჰქონდა, ძალიან ცოტამ თუ მიიღო მონაწლეობა. ამიტომ განსაკუთრებით გალის მოსახლეობის გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ ამ არჩევნებს დემოკრატიული არჩევნები უწოდეს.

გალის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ აფხაზეთში ოკუპაციის პირობებში ჩატარებული არჩევნები არ შეიძლებოდა ყოფილიყო დემოკრატიული, რადგან, როგორც თვითონაც აღნიშნავენ, არჩევნები ჩატარდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

გალის კოორდინატორი ამბობს, რომ ის პოლიტიკოსები მიიჩნევენ აფხაზეთის არჩევნებს დემოკრატიულად, რომელი პოლიტიკოსებიც მოსკოვში დადიან და რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან აქვს კონტაქტი.

— ასეთი განცხადებების გაკეთება რუსეთის დავალებაა, რომ საერთაშორისო სარბიელზე მოხდეს სეპარატისტული რეჟიმის გალეგიტიმურება, — ამბობს უპარტიოთა მოძრაობის გალის კოორდინატორი, — არჩევნების დროს მასწავლებლების მიმართ იყო მუქარები, მაგრამ სერიოზულად თავი არავის შეუწუხებია. არჩევნებისთვის მოსახლეობის მასობრივი მობილიზება არ მოუხდენია და გალის რაიონში ძალა არავის დაუტანებია. პასუხისმგებელ პიროვნებებზე, რა თქმა უნდა, ზეწოლა იყო. დაკვირვების უფლება მოგვეცა გალის 10-12 უბანზე და ოჩამჩირის რაიონის 5-6 უბანზე.

გალის კოორდინატორს აქვს აგრეთვე ინფორმაცია გაგრიდან, გუდაუთიდან და გულრიფშიდან, რომ განსაკუთრებით აქტიურობდა სომხური მოსახლეობა.

რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული აფხაზეთის სომხური მოსახლეობა ქართველური წარმოშობის ანქვაბის გაპრეზიდენტებით, ამის ახსნა ძნელია, მაგრამ როგორც ამბობენ, აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობას ავტორიტარი მმართველი მოენატრა. ანქვაბს სწორედ ასეთად მიიჩნევენ.

გალიდან მიღებული ინფორმაციით, ერთი რამ აშკარაა, საერთოდ, ოკუპაციის პირობებში მცხოვრები მოსახლეობა აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი ინდიფერენტულია. მოსახლეობას უფრო სოციალური და ყოფითი პრობლემები აწუხებს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 2. საკვებ პროდუქტებზე გაჩენილი სოკოს ქსელი; 3. საგნის ზუსტი განსაზღვრა მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 4. ძალზე ცხიმიანი რამ; 5. მარცვლეულის, მესაქონლეობის, ხელსაქმის მფარველი სვანური ქალღვთაება; 8. რბილ დასაჯდომიანი ტაბურეტი; 9. მცირეოდენი, წვრილმანი განსხვავება რამეში; 10. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 12. მეათე საუკუნის ციხე-ქალაქი ასპინძის რაიონში; 13. გამკილავი შინაარსის, სახელდახელოდ თქმული ლექსი; 15. სამრეწველო ცენტრების, დიდი ქალაქების ცაზე დაგროვილი სქელი შავი ნისლი.

**თარაზულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 6. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 7. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 10. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 11. შემოდგომაზე ნათესი ხორბალი; 13. სისხლისა და ლიმფისგან დამზადებული ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 14. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ერაყში; 16. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 17. ერთი ან რამდენიმე ბგერის მოკვეცა სიტყვის ბოლოში; 18. ძვლების ანთება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ლუტი; 2. არა; 3. კავასაკი; 4. კუ; 5. საზამთრო; 6. ვანი; 7. მანდილი; 10. ფსოუ; 11. შოტლანდია; 12. ბალაგანი; 13. ზული; 16. ხოხობი; 12. მორავია; 19. მდოგვი; 21. თერგი; 24. რახტი.

**თარაზულად:** 1. ლაქტოზა; 3. კოდაკი; 8. მახათა; 9. ტუფი; 14. ვოლგა; 15. მულამი; 17. ლამა; 20. კვართი; 22. რიონი; 23. დაგერი; 25. ურო; 26. ოქრო; 27. პაპი; 22. ხაბიზგინა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ეშხი; 2. არა; 3. გერიატრია; 4. დონგი; 5. ბიუჯეტი; 8. ნიკე; 9. ვაგნერი; 10. შოკოლადი; 12. ბასტრი; 13. გროტი; 15. ქაცკი.

**თარაზულად:** 1. ელექტრა; 6. ბეისბოლი; 7. ხუნტა; 10. შტილი; 11. აკაბა; 13. გონიო; 14. კოქსი; 16. ტახო; 17. აერაცია; 18. გორილა.

# „ბითლზი“ სეგრეგაციის წინააღმდეგი ყოფილა



ანსამბლი „ბითლზი“

დიდების ზენიტში მყოფი ანსამბლ „ბითლზის“ წევრებმა აშშ-ში სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის კამპანიას დაუჭირეს მხარი და მხოლოდ თეთრკანიანებისათვის კონცერტით გამოსვლაზე უარი განაცხადეს.

ამას მოწმობს ანსამბლ „ბითლზის“ მიერ დადებული კონტრაქტი, რომელსაც ლოს ანჯელესის აუქციონზე გასაყიდად გაიტანენ.

როგორც ვარაუდობენ, დოკუმენტი 5 ათას დოლარად შეიძლება გაიყიდოს.

ამ კონტრაქტში ლაპარაკია კონცერტზე, რომელიც 1965 წელს კალიფორნიაში, „ქოუ ფალასში“ იყო დაგეგმილი.

კონტრაქტს ხელს აწერს ანსამბლის მენეჯერი ბრაიან ეპსტაინი, ოღონდ იმ პირობით, რომ „ბითლზი“ სეგრეგირებული მაყურებლის წინაშე არ გამოვიდოდა.

ამავე კონტრაქტის თანახმად, მუსიკოსებს 40 ათასი დოლარი უნდა მიეღოთ, გარდა ამისა, ლაპარაკია რინგო სტარისათვის სპეციალური ბაქნის დადგმის შესახებ.

კონტრაქტში ცალკე პუნქტის სახით არის შეტანილი წესრიგის დაცვის მიზნით 150 პოლიციელის გამოყოფის მოთხოვნა.

„ბითლზმა“ „ქოუ ფალასში“ ორი კონცერტი გამართა, 1965 წლის 31 აგვისტოს დღისით და საღამოს. საღამოს შოუს დროს დაახლოებით 17 ათასმა ადამიანმა ბარიერები გაარღვია და სცენისაკენ გაიჭრა.

გამოსვლა შეჩერდა, მუსიკოსები იძულებული გახდნენ კულისებში მოეცადათ, სანამ პოლიცია წესრიგს დაამყარებდა.

ბოლოს და ბოლოს მათ შეძლეს კონცერტის გაგრძელება, 12 სიმღერა დაასრულეს და გამოსვლა სიმღერებით „ჰელფ“ და „აემ დაუნ“ დაასრულეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კონცერტამდე „ბითლზის“ წევრები აშშ-ში შავკანიანი მოქალაქეების თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლასთან დაკავშირებით თავიანთ პოზიციას საჯაროდ გამოხატავდნენ. 1964 წელს მათ ფლორიდის შტატის ქალაქ ჯექსონვილის „გეითორ ბოულის“ სტადიონზე მხოლოდ თეთრკანიანების წინაშე გამოსვლაზე უარი თქვეს.

„ჩვენ არასდროს გამოვსულვართ სეგრეგირებული აუდიტორიის წინაშე და ამის გაკეთებას არც მომავალში ვაპირებთ. ამას ფულის დაკარგვა გვირჩევნია, — განაცხადა ჯონ ლენონმა.

მას შემდეგ, რაც ორგანიზატორებმა უკან დაიხიეს და კონცერტზე შერეული მაყურებლის დასწრებას დათანხმდნენ, „ბითლზი“ სცენაზე გამოვიდა.

აშშ-ში რასობრივი თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის ზეგავლენით პოლ მაკარტნიმ მოგვიანებით თავისი ცნობილი სიმღერა „ბლექბერდ“ დაწერა.

გ. თ.

# პალესტინის დამოუკიდებლობის იდეა პოპულარობით სარგებლობს

ბიბისის შეკვეთით მსოფლიოს 19 ქვეყანაში გამართულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გაეროში პალესტინის სახელმწიფოს აღიარების იდეა უმნიშვნელო უპირატესობით უსწრებს წინ პოზიციას, რომელიც პალესტინის სრულუფლებიან სახელმწიფოდ აღიარების წინააღმდეგია.

მსოფილოში რესპონდენტების 49%-ს მიაჩნია, რომ მათი ქვეყნების მთავრობებმა პალესტინის დამოუკიდებლობას უნდა დაუჭირონ მხარი. 21%-ს მიაჩნია, რომ მთავრობები წინააღმდეგ უნდა გამოვიდნენ.

პალესტინელები თავიანთი სახელმწიფოს აღიარების საკითხის გაეროში გატანას მიმდინარე კვირას აპირებენ. პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციას სურს, რომ მათი სახელმწიფო 1967 წელს არსებულ საზღვრებში აღიარონ, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის ტერიტორიების, აღმოსავლეთ იერუსალიმისა და ღაზას სექტორის ჩათვლით.

ისრაელსა და აშშ-ს მიაჩნიათ, რომ პალესტინის სახელმწიფოს აღიარების საკითხი მხოლოდ პირდაპირი მოლაპარაკებების გზით შეიძლება გადაწყდეს. ასეთი მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გასულ წელს გაიმართა და შემდეგ მოლაპარაკებები შეწყდა.

მიმომხილველების თქმით, პალესტინის დამოუკიდებლობის საკითხი მოქალაქეთა სამსჯავროზე რომ გაეტანათ, მოქალაქეებს გაეროს რეზოლუციისათვის ხმის მიცემის უფლება რომ ჰქონოდათ, პალესტინა დამოუკიდებლობას მოიპოვებდა.

ამასთან, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, პალესტინის დამოუკიდებლობის საკითხისადმი გულგრილად ან მის წინააღმდეგ განწყობილთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ რომელიმე ქვეყანა რეზოლუციის წინააღმდეგ თუ უყრის კენჭს, ეს სახელმწიფოს საშინაო საქმეებზე ზეგავლენას არ მოახდენს.



გაეროს გამოკითხვის მონაცემების თანახმად, პალესტინის დამოუკიდებლობას ყველაზე მეტად ეგვიპტელები უჭერენ მხარს. პალესტინის დამოუკიდებლობა გამოკითხულთა 90%- სურს და მხოლოდ 9%-ია წინააღმდეგი.

სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში შედეგები განსხვავებული აღმოჩნდა. თურქეთში პალესტინის დამოუკიდებლობის იდეას გამოკითხულთა 60% უჭერს მხარს, 19% აცხადებს, რომ ანკარამ გაეროში პალესტინას არ უნდა დაუჭიროს მხარი.

პაკისტანში პალესტინის დამოუკიდებლობის იდეას 52% უჭერს მხარს, 12% წინააღმდეგია, ინდონეზიაში მომხრეა 51%, წინააღმდეგია 16%.

ჩინეთში პალესტინელების დამოუკიდებლობას მხარს უჭერს 65%, წინააღმდეგია 9%.

ევროკავშირის სამ უდიდეს ქვეყანაში პალესტინის დამოუკიდებლობას გამოიკითხულთა ნახევარზე მეტმა დაუჭირა მხარი. საფრანგეთში მათი რიცხვი 54%-ს შეადგენს, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში — 53%-ს თითოეულში.

ბრიტანელების 26, გერმანელების 28 და ფრანგების 20%-ს მიაჩნია, რომ მათი ქვეყნების მთავრობებმა რეზოლუციის წინააღმდეგ უნდა უყარონ კენჭი.

გამოკითხულთა 30%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა.

სულ მსოფლიოს 19 ქვეყანაში 20466 მოქალაქე გამოკითხეს. გამოკითხვა ტელეფონით მიმდინარეობდა ან პირადად, იგი 9 ივლისიდან 29 აგვისტომდე გაგრძელდა და სტატისტიკურმა შეცდომამ 2.1-3.5% შეადგინა.

გ. თ.

# ზაალ ჩიქობავასთვის რობერტ სტურუას მიერ ნიკა რურუასადმი მიწერილი წერილი მოულოდნელი აღმოჩნდა

**რუსთაველის თეატრის მმართველ ზაალ ჩიქობავასთვის რეჟისორ რობერტ სტურუას მიერ ფეისბუქის გვერდზე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკა რურუასადმი მიწერილი წერილი მოულოდნელი აღმოჩნდა.**



ზაალ ჩიქობავა

როგორც ჩიქობავამ „პირველს“ განუცხადა, მას რობერტ სტურუასთან თეატრში არსებულ პრობლემებზე არაერთხელ უსაუბრია და რატომ იყო უკმაყოფილო სტურუა და რა დგას რეალურად ამ წერილის უკან, მისთვის ძნელი სათქმელია.

— საერთოდ, „ფეისბუქის“ მომხმარებელი არ ვარ, არც ამ წერილს გავცნობივარ. როგორც მითხრეს, მასში რობერტ სტურუა თავის მოსაზრებებს აყალიბებს. ჩვენ თეატრში არსებულ პრობლემებზე საუბარი არაერთხელ გვქონია. თეატრში რეორგანიზაციის დაწყებაც იგეგმებოდა, თუმცა როგორ ჩანს, სტურუამ მინისტრს წერილი რეორგანიზაციის გამოცხადებამდე მისწერა, ამიტომ არ ვიცი, რას შეიძლებოდა, გამოეწვია მისი უკმაყოფილება, — განაცხადა ჩიქობავამ.



რობერტ სტურუა

შეგახსენებთ, რომ რეჟისორმა რობერტ სტურუამ ⅄აცებოოკ-ის გვერდზე მის მიერ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკა რურუასადმი მიწერილი წერილი გამოაქვეყნა. წერილში სტურუა რუსთაველის თეატრში არსებულ მძიმე ვითარებაზე საუბრობს და აცხადებს, რომ „მსახიობი თეატრის მმართველი არ უნდა იყოს“. ამასთან, რეჟიოსრი მზადყოფნას გამოთქვამს, სამხატვრო ხელმძღვანელობასთან ერთად აღნიშნული თანამდებობაც შეითავსოს.

— დიდხანს ვფიქრობდი, დამედო ეს წერილი „ფეისბუქზე“ თუ არა. წაიკითხეთ და თავად განსაჯეთ. 50 წელია ვმუშაობ რუსთაველის თეატრში და ჩემს თვალწინ ჩაიარა მსახიობთა და დირექტორთა, ანუ მმართველთა სოლიდურმა ჯგუფმა. ამ ხნის მანძილზე ჩამოყალიბდა რუსთაველის თეატრის სახე, ესთეტიკა და ჩვენმა თეატრმა საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოს თეატრალურ სივრცეში. ჩვენი ცხოვრების ურთულეს პერიოდშიც - 1990-იან წლებში თეატრი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. რა თქმა უნდა, წარმატებას მარცხიც ახლდა, მაგრამ რუსთაველის თეატრი ინარჩუნებდა სათანადო დონეს. ბოლო სამი წლის მანძილზე თაობების მიერ დღემდე სიმწრით მოტანილი სახელი საფრთხის წინაშე დადგა. რეპერტუარში მომრავლდა ულიმღამო, არაფრისმთქმელი სპექტაკლები. ერთიორი ახალგაზრდა რეჟისორის გარდა, ვერავინ შეძლო, მიახლოვებოდა იმ მოთხოვნებს, რომელსაც რუსთაველის თეატრი აყენებს. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობები თითქოს დაკავებულები არიან, სცენაზე დგანან, ისინი თანდათან კარგავენ პროფესიულ ჩვევებს. ჩემთვის ძალიან ძნელი ასატანია, ვუყურო, თუ როგორ აივსო თეატრის ადმინისტრაცია, პიარისა და მარკეტინგის სამსახური ადამიანებით, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ საერთოდ ხელოვნებაზე და კონკრეტულად თეატრზე. მთელ ამ უბედურებაში ბრალი მეც მიმიძღვის, მაგრამ რა ვქნა - არ შემიძლია და არც არასდროს შემეძლო, ხმალამოღებულს მებრძოლა თვითდაჯერებულ უგუნურებასთან და ამიტომ ერთადერთ გამოსავალს ვხედავ. თეატრში ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. მე მარტო, რა თქმა უნდა, ვერაფერს გავხდები და მინდა, მხარში მედგეს გამჭრიახი ადამიანი, რომელმაც კარგად იცის რუსთაველის თეატრის ჭირ-ვარამი და ბოლომდე გააცნობიერებს, რა უნდა გაკეთდეს მომავლისთვის. ხოლო რაც შეეხება დღევანდელ მმართველს (შეგახსენებთ, რომ მის დანიშვნაში დიდი წვლილი მიმიძღვის), მისმა მოღვაწეობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მსახიობი არ შეიძლება, თეატრის სათავეში იდგეს. მსახიობობა შესანიშნავი პროფესიაა და ვერაფერს ითავსებს. ასეთი შემთხვევები ადრეც ყოფილა და კარგი არაფერი მოუტანია. თუ თქვენ არ დამეთანხმეთ და ჩემი თხოვნა სამართლიანად არ მიიჩნიეთ, გამოსავალი აქაც არსებობს: 72 წლის რეჟისორი სევდიანად, მაგრამ მშვიდად დატოვებს რუსთაველის თეატრს. თუ თქვენ ჩემს წინადადებას მისაღებად მიიჩნევთ, თანახმა ვარ, ვიკისრო მძიმე ტვირთი და შევითავსო მმართველის თანამდებობა (შეგახსენებთ, რომ ერთდროულად სამხატვრო ხელმძღვანელად და დირექტორად მუშაობის საკმაო გამოცდილება მაქვს), — ნათქვამია სტურუას წერილში.

**პირველი**

## სამგლოვიარო განცხადებები

### ლეილა დემეტრაშვილი-მუნგერის

**გახსენება**



ჩვენო საყვარელო ლეილა დეიდა, ისევ მოვიდა თქვენი დაბადების დღე, მაგრამ, ვაი, რომ უთქვენოდ. საშინელებაა იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ გვერდით აღარ არის მზრუნველი დედა, ბებია და ჩვენი უსაყვარლესი ლეილა ბებია. ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდით, თქვენი გარდაცვალებით ამხელა ტკივილს რომ დაგვიტოვებდით.

საოცრად კეთილი, დიდსულოვანი ადამიანი იყავით. მხოლოდ სიკეთით ცხოვრობდით, ყველა გიყვარდათ, ყველას თანაგრძნობას უწევდით. თქვენთან ყოველი შეხვედრა ჩვენთვის ბედნიერება იყო. თქვენ ხომ ძალიან გიყვარდათ ჩემი შვილები და მათაც ძალიან უყვარდით. ძალიან გამიჭირდა მათთვის მეთქვა თქვენი გარდაცვალების შესახებ, რადგან ვიცოდი, მტკივნეული იქნებოდა. თქვენ ხომ ჩემს შვილებს ნამდვილი ბებია შეუცვალეთ და ისინი არასდროს გავიწყდებოდნენ. პაემანზე შეხვედრისას, ციხეში, ისინიც ლეილა ბებიას მოკითხვით იწყებდნენ. ეს გულწრფელი სიყვარულია. ვინ იცის, რამდენი ღამე ტირილში გავათენე. სულ მახსოვხართ, გეფერებით, დედასავით ტკბილო, მზრუნველო, ჩემო საყვარელო ადამიანო.

პატიებას გთხოვთ, რომ ვერ მოგიარეთ, ვერ მოგეფერეთ და ვერ გაგაცილეთ უკანასკნელ გზაზე. ღმერთისგან მოვლენილი იყავით მხოლოდ სიკეთის საკეთებლად. თქვენი სიყვარული მე და ჩემს შვილებს სიცოცხლის ბოლომდე გაგვყვება. ქედს ვიხრით თქვენი სულის წინაშე, ჩვენო სათნო, კეთილო და დიდსულოვანო ადამიანო.

სამოთხეში დაედოს ბინა თქვენს სპეტაკ სულს. ჩვენი უდიდესი ტკივილი ხართ.

*თქვენი პატარა მეგობრები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 21 სექტემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 19.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** ჩვენი სამართალი **18.30** სილამაზის ფორმულა **19.05** დოკ. ფილმი **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.30** ფესტივალი "ღამის სერენადები" **2011 01.20** მხ. ფ. **"სიკვდილი ხელმეორედ"** (**15**) (ე. გარსია) **03.20** მოამბე **03.40** ევროპული არჩევანი **05.10** მხ. ფილმი **"ოჯახის სახელით"**

**08.00, 00.40** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00, 01.00** სერ. **"ზიანი"** **20.00** მხ.ფ.**"ორმაგი შეცდომა"** **02.00** მხ. ფილმი **"სერიული მკვლელი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმღყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ.**"სახლი მეზობლად"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვმარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.50** თბილისი ლაივი **00.30** მხ. ფილმი **"კრისტი"** (ლ. ლი სმიტი) (სუბტ.) **02.25** მხ.ფ.**"სიკვდილის შემდეგ"** (**12**) (ჟ. ვან დამი) (სუბტ.) **03.55** მხ. ფილმი **"უკანასკნელი ლეგიონი"** (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ.**"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "არგაი" **12.00, 15.15, 17.00** ტვმარკეტი **12.15** სერ.**"დაკარგული ქვეყანა"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ელიზა 2"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **12.50, 19.35** სერ. **"დაშნების დედოფალი"** **15.15** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** სცენა **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30

განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **10.55** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მალე გაზაფხული მოვა"** **13.45** კონცერტი — თ. ჭოხონელიძე **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.20** მხ. ფილმი **"დედუნა"** **16.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.55** კვირიაკე **18.05** დოკ. ფილმი "დედა ღვთისმშობელი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"მოიტაცეს თამარ ქალი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.40** დოკ. ფილმი "შობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პერსპექტივა **01.30** კონცერტი — ანს. "შვიდკაცა"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**21 სექტემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,641 |
| ევრო | 2,3815 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7208 |
| რუსული რუბლი | 0,057 |

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 17-22, ღამით — 8-12

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-28§, ღამით — 15-18§

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 14-16, ღამით — 6-11

## ამინდის პროგნოზი 21 სექტემბრისთვის






## გაზეთ „ახალი თაობის“

## 19 სექტემბრის ნომერთან ერთად ი ყ ი დ ე ბ ა

# „ქართული მწერლობის საუნჯის“

## პირველი ტომი



**მასში თავმოყრილია შემდეგი ნაწარმოებები:**

1. **ლეონტი მროველი** — ცხოვრება მეფეთა
2. **იაკობ ხუცესი** — შუშანიკის წამება
3. **უცნობი ავტორი** — ცხორება და მოქალაქობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოისი
4. **უცნობი ავტორი** — მოქალაქობაი და წამებაი წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისაი
5. **უცნობი ავტორი** — მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი
6. **უცნობი ავტორი** — სიბრძნე ბალაჰვარისი
7. **იოვანე საბანისძე** — ჰაბოს წამება
8. **იოანე მინჩხი** — დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი
9. **მიქაელ მოდრეკილი** — იამბიკონი
10. **იოანე ზოსიმე** — ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

## ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს!

# ოლიმპიურმა კომიტეტმა ბინა მაჩაბლის ქუჩაზე დაიდო



გია ნაცვლიშვილი და მონაკოს პრინცი ალბერ II

საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა მაჩაბლის ქუჩაზე დაიდო ბინა. მის პრეზენტაციას ესწრებოდნენ ქალაქ თბილისის მერი გიგი უგულავა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი, ქართულ სპორტსა და პოლიტიკაში მოღვაწე ცნობილი სახეები, ოლიმპიური ჩემპიონები, საქართველოში ვიზიტად მყოფი მონაკოს პრინცი და ამავე ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ალბერ მეორე, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალური მდივანი რაფაელ პაგნოცი, ამავე ორგანიზაციის ადმინისტრაციის უფროსი როსანა სილფვეტი, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი მარიუს ვიზერი. სტუმრებმა ახალი ოფისი დაათვალიერეს და საპრესკონფერენციო დარბაზისკენ გაემართნენ. პრეზენტაციაზე შეკრებილებს პირველმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა მიმართა:

— დღეს ისტორიული დღეა. ახალ შენობას ვხსნით და იმედია, აქ გამარჯვებებს აღვნიშნავთ. 4 წლის წინათ ამხელა წარმატება წარმოუდგენელი იყო. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა თბილისში 2015 წლისთვის ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩატარებამ. დიდ მადლობას ვუხდი პრინც ალბერ II-სა და რაფაელე პანიოცის. ეს გამარჯვება არ იქნებოდა, რომ არა ბატონი გიგი უგულავა. მადლობა მთავრობას მხარდაჭერისათვის. განსაკუთრებით კი მიხეილ სააკაშვილსა და ლადო ვარძელაშვილს. მადლობა მათ, ვინც ამ დიდ საქმეში თუნდაც მცირეოდენი წვლილი შეიტანეს. სტატისტიკით დავინტერესდი და აღმოვაჩინე, რომ ოთხმილიონიანი ქვეყნისთვის ოლიმპიურ თამაშებზე საკმაოდ კარგი შედეგები გვაქვს. საქართველო მართლაც რომ სპორტული მენტალობის ქვეყანაა.

საღამოზე მიწვეულნი იყვნენ პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები მზია ჯუღელი და რაფაელ ჩირიშკიანი. გარდა ამისა, პრეზენტაციას ესწრებოდნენ აწ გარდაცვლილი დავით ციმაკურიძის ოჯახის წევრები. სამივე მხარეს ოლიმპიური ორდენები გადაეცათ.

უცხოელმა სტუმრებმა ქართველ სპორტსმენებს წარმატება უსურვეს.

საღამოზე რამდენჯერმე გაიხსენეს ვანკუვერში ტრაგიკულად დაღუპული ქართველი სპორტსმენი ნოდარ ქუმარიტაშვილი.

— ყველა სპორტსმენს ვულოცავ ოლიმპიური კომიტეტის ახალი ოფისის გახსნას. ვფიქრობ, ეს თავშეყრის საუკეთესო ადგილია. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ შენობის რეაბილიტაცია მოხდა. განსაკეთებელი კიდევ ბევრი გვაქვს. ყველაფერს გავაკეთებთ,რომ თბილისში 2015 წლისთვის ახალგაზრდულმა ოლიმპიურმა თამაშებმა მაღალ დონეზე ჩაიაროს. იქამდე კი, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაა და წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს სპორტსმენებს, — აღნიშნა გიგი უგულავამ.

თავის მისასალმებელ სიტყვაში მონაკოს პრინცმაც და ეოკ-ის გენერალურმა მდივანმაც მოგვილოცეს სეოკის ახალი თანამედროვე სტანდარტებით გაწყობილი ოფისის გახსნა და კიდევ ერთხელ გამოთქვეს სინანული ვანკუვერში ტრაგიკულად დაღუპული ქართველი სპორტსმენის ნოდარ ქუმარიტაშვილის გამო.

შეხვედრის დასასრულს საპატიო სტუმრებმა მასპინძლებს საპატიო საჩუქრები გადასცეს და ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობას წარმატებები უსურვეს.

მ. ჟ.

## ასტროპროგნოზი 21 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კურო** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ტყუპები** — არ გადაიღალოთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **სასწორი** — ახალ საქმეს წამოიწყებთ, მაინც ფრთხილად იყავით. **ღრიანკალი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, დროს გაანაწილებთ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართული სპორტული რადიო; 2. თმის, წვერის შესაღები მოწითალო საღებავი; 3. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი; 4. დეტექტური ჟანრის ფუძემდებლად მიჩნეული ამერიკელი მწერალი; 5. რამდენიმე ქვემეხის ხშირი, ერთდროული სროლა; 6. მატყლის სართავი უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 7. თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 10. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 11. მოულოდნელი საჩუქარი, სასიამოვნო ამბავი; 12. შუა-საუკუნეების გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 13. რევაზ ლაღიძის ოპერა; 16. ომის დროს მოპოვებული სამხედრო ქონება, ნადავლი; 18. შებოლილი ძეხვი; 19. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 21. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 22. მაგიდა სადურგლო სამუშაოებისთვის.

**თარაზულად:** 1. თოკზე მოსიარულე აკრობატი; 5. პირისახის ნაწილი; 8. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 9. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იაპონიაში; 14. ხმაურიანი ბრბო; 15. მეფის მრჩეველი ძველად; 17. წყალქვეშა კლდე; 20. ტელეგრაფით გაგზავნილი სასწრაფო შეტყობინება; 22. წამლის გამოშვების ერთ-ერთი ფორმა; 23. მტკიცე მეტალი, ნახშირბადისა და რკინის ნაერთი; 25. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 26. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 27. ლატვიის დედაქალაქი; 28. პატარა ზარი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## იუმორი



— შენთვის საჩუქარი მაქვს. ამ ატლასით ჯერ კიდევ მე ვსწავლობდი სკოლაში...

— დეიდა, მაგ ატლასზე მატერიკები აღნიშნულია?

***

— შენზე ამბობენ, რომ ვირი მიწოდე. ეს მართალია?

— მართალია, მაგრამ მე არ მითქვამს...

***

— მე და ჩემი ცოლი იდეალურად ვეწყობით ერთმანეთს, რაც იმას უნდა, მეც ის მინდა, უბრალოდ, ხანდახან არ ვიცი ხოლმე...

***

— ცოლმა ჩვენი ბიჭი საპარიკმახეროში წაიყვანა. თმა ძირში გადახოტრეს. ხუთი წლის ასაკში მე მის ადგილზე სკანდალს გავმართავდი, მან კი თავზე ხელი გადაისვა და დედას ეკითხება: „დედა, მთლად კივის დავემსგავსე, არა!“

***

საავადმყოფოში ტელეფონი აწკრიალდა:

— ალო, გამარჯობა, პაციენტ სიდამონიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მაინტერესებს, მეექვსე პალატიდან.

— ერთი წუთით, — პასუხობს მორიგე მედდა, — მის ბარათში ჩავიხედავ... ვიპოვე, მოტეხილობა კარგად შეუხორცდა, ზეგ თაბაშირს მოვხსნით, პარასკევს კი — ნაკერებს.

— ოპერაციის შემდგომი დაკვირვება თუ დასჭირდება?

— დიახ, ორი კვირის განმავლობაში ულტრაბგერით პროცედურებზე უნდა მოვიდეს.

— საავადმყოფოდან როდისღა გამოწერენ?

— პარასკევს. თქვენ სიდამონიძის ნათესავი ხართ?

— თავად სიდამონიძე ვარ, უბრალოდ, ამ წყეულ საავადმყოფოში მე არაფერს მეუბნებიან...

***

— ისევ დაიგვიანე სკოლაში. რატომ?

— კარგით, რა, ზოია მასწავლებელო, თავად არ თქვით, სწავლა არასდროს არის გვიანო?..

გ. თ.

## ტესტი

# პესიმისტი, ოპტიმისტი თუ რეალისტი?



*1. თქვენი სიზმრები:*
ა. დრამატულია. ბ. გაურკვეველია. დ. სასიამოვნოა.

*2. რის შესახებ ფიქრობთ დილით გამოღვიძებისას:*
ა. როგორი ამინდი იქნება. ბ. საქმეზე. გ. საყვარელ ადამიანზე.

*3. დილით საუზმობთ:*
ა. დადგენილ დროს. ბ. ჩივით, რომ გამოძინება ვერ მოასწარით. დ. გიყვართ საუბარი.

*4. გაზეთის კითხვისას ყურადღებას აქცევთ:*
ა. ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინფორმაციას. ბ. სპორტს. გ. კულტურას.

*5. თქვენი რეაქცია სკანდალურ ინფორმაციაზე:*
ა. ნეიტრალური. ბ. გაშინებთ. გ. აღგაშფოთებთ.

*6. უცნობ ქალაქში რაღაც მისამართს ეძებთ:*
ა. ტაქსის ქირაობთ. ბ. ნაცნობებს ჰკითხავთ. გ. თავად იპოვით.

*7. როდესაც სარკეში საკუთარ ფიგურას უყურებთ:*
ა. არა მიშავს რა. ბ. ზედმეტი წონა უნდა დავიკლო. გ. არის რა.

*8. სამედიცინო შემოწმება გაიარეთ და შედეგებს ელით:*
ა. ღელავთ, რაიმე სერიოზული არ აღმოგაჩნდეთ. ბ. იცით, რომ ექიმი მაინც სიმართლეს არ გეტყვით. გ. ყველაფერი კარგად იქნება.

## პასუხები

**პასუხები შეაფასეთ:** ა. — 0 ქულა. ბ. — 1 — ქულა გ. — 2 ქულა.

**0-5 ქულა:** მოვლენებს სალი თვალით უყურებთ, მაგრამ ხანდახან ვერ აღწევთ თავს პესიმისტურ განწყობილებებს.

**6-10 ქულა:** დროდადრო ოპტიმიზმის გაელვებები გაქვთ, მაგრამ მაინც უფრო ხშირად პესიმიზმი სძლევს. შეეცადეთ, ცოტა ოპტიმისტურად შეხედოთ სამყაროს.

**11-16 ქულა:** თქვენ რეალისტურად უყურებთ მოვლენებს, როგორც წესი, ნებისმიერ სიტუაციაში ოპტიმიზმს ინარჩუნებთ.

გ. თ.